# შირაქი

გამოცემის მე-80 წელი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№36 (9.797)
16 – 23 სექტემბერი 2017 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა


## ახალი სასწავლო წელი დაიწყო!



გვ.3

## გიორგი კვირიკაშვილმა ბორდოში ოფიციალურად გახსნა გამოფენა – „საქართველო – მევინეობის აკვანი“

გვ.2

## კირქვის საწარმო „არწივის ხეობა“ გაქურდეს

გვ.5

## რთველი 2017 – რეალობა და პერსპექტივები



გვ.5



გვ.7

## 21 სექტემბერი ღვთისმშობლის შობის დღეა

## ათასწლეულის ფონდი ორი სკოლის ძირეულ რეაბილიტაციას იწყებს



გვ.4

## ჩრდილოეთ კორეამ კიდევ ერთი საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტა გამოსცადა

გვ.2

### ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 21 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

# გიორგი კვირიკაშვილმა ბორდოში ოფიციალურად გახსნა გამოფენა – „საქართველო – მეღვინეობის აკვანი“



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა 14 სექტემბერს, საფრანგეთში, ქალაქ ბორდოში გამოფენა - „საქართველო - მეღვინეობის აკვანი“ გახსნა.

როგორც  მთავრობის ადმინისტრაციაში განაცხადეს, კვირიკაშვილი ბორდოში მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად გაემგზავრა.

მათი ცნობით, საქართველო არის პირველი მიწვეული ქვეყანა, რომელიც ღვინის ცივილიზაციის ცენტრში მევენახეობა - მეღვინეობის გამოფენათა ციკლს ხსნის და ღვინის ცივილიზაციის მუზეუმის საპატიო მასპინძელია. Cité des Civilisations Du Vin 14 ათას კვადრატულ მეტრზეა განთავსებული და დამთვალიერებელს ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით ღვინის ცივილიზაციის ისტორიასა და თანამედროვეობას აცნობს.

”ქართული გამოფენის ფარგლებში, „იუნესკოს“ მიერ „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდის“ მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებასთან დაკავშირებით, ღვინის ცივილიზაციის ცენტრის ცენტრალურ შესასვლელში, სპეციალურად ამ გამოფენისთვის დამზადებული დიდი ზომის ქვევრი განთავსდება, რომელიც მუდმივ ექსპოზიციაში დარჩება.

გარდა ამისა, გამოფენისთვის, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა მოამზადა ექსპოზიცია, რომელიც ცენტრში ქართული ღვინის კულტურას წარმოაჩენს. გამოფენა ქართული მეღვინეობის უდიდეს და უწყვეტ 8 000-წლიან ისტორიას ასახავს.

უკვე მეცნიერულად დადასტურებულია, რომ საქართველოში ქვევრში ღვინის დაყენება 8 ათასი წლის წინ დაიწყეს, არსებობს მეღვინეობის უწყვეტი ტრადიცია და საქართველოში აღმოჩენილი ქვევრის ტიპის უძველესი ჭურჭელი ძვ.წ. VI-V ათასწლეულებს განეკუთვნება;

7 ქვეყნის წამყვანმა სპეციალისტებმა, 3-წლიანი კვლევის შედეგად დაადასტურეს, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა. ღვინის ეროვნული სააგენტოს პროექტი, რომელსაც პენსილვანიის უნივერსიტეტის მუზეუმის პროფესორი, ბიოქიმიკოსი და ღვინის ისტორიკოსი პატრიკ მაკგოვერნი ხელმძღვანელობდა, დასრულდა. სამეცნიერო ჯგუფი, სამწლიანი კვლევის შედეგებს 10-11 ოქტომბერს ბორდოს ღვინის ცივილიზაციის ცენტრში, ქართული ღვინის გამოფენის ფარგლებში წარადგენს. მსოფლიოს წამყვანმა მეცნიერებმა 3 წლის განმავლობაში ზედმიწევნით შეისწავლეს სხვადასხვა დროს მოპოვებული მდიდარი არქეოლოგიური მასალა, მათ შორის, ყურძნის უძველესი წიპწები, თიხასა და თიხის ჭურჭელზე დანალექი მჟავა, რომელიც, საბოლოოდ, ღვინო აღმოჩნდა.

ქართული გამოფენის ფარგლებში ბორდოს ღვინის ცივილიზაციის ცენტრში წარმოდგენილია უნიკალური არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან, რომლებიც ადასტურებს, რომ საქართველო უძველესი ღვინის ცივილიზაციის ქვეყანაა”, - აცხდებენ მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურში

მათივე განმარტებით, ქართულ საგამოფენო სივრცეში, 3-თვიანი გამოფენის მანძილზე, მუდმივად ტარდება სხვადასხვა ღონისძიება - სამეცნიერო კონფერენციები, პრეზენტაციები, ღვინის პროფესიული დეგუსტაცია, რომელსაც მსოფლიოში აღიარებული ღვინის ექსპერტები უძღვებიან. ასევე, რამდენჯერმე გაიმართა სპეციალურად გამოფენისადმი მიძღვნილი კულტურული და თემატური ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ გამოფენას, მხოლოდ პირველი კვირის განმავლობაში, 4 000-მდე დამთვალიერებელი სტუმრობდა.

მსოფლიო ღვინის დედაქალაქ ბორდოში, რომელიც ყოველწლიურად 6 მილიონზე მეტ ტურისტს მასპინძლობს, ქართული ღვინის გამოფენა - „საქართველო - მეღვინეობის აკვანი“ 5 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

# ზურაბ პოლოლიკაშვილი – თვალნათლივ გამოჩნდა თუ რამდენად დიდია საქართველოს როლი მსოფლიო

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (UNWTO) ახლად არჩეული გენერალური მდივანი ზურაბ პოლოლიკაშვილი მიიჩნევს, რომ მისი არჩევა საქართველოს გამარჯვებაა.

მისივე თქმით, თვალნათლივ გამოჩნდა თუ რამდენად დიდია საქართველოს როლი მსოფლიო ტურიზმის განვითარების მხრივ.

„ეს არის ძალიან დიდი გამარჯვება ჩვენი ქვეყნის და ვფიქრობ, რომ ძალიან კარგად და თვალნათლივ გამოჩნდა თუ რამდენად დიდია საქართველოს როლი მსოფლიო ტურიზმის განვითარების მხრივ. ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და ისტორიული დღე არის. ეს არის პირველ რიგში ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი გამარჯვება“, - განაცხადა ზურაბ პოლოლიკაშვილმა.

ახლად არჩეულმა გენერალურმა მდივანმა მადლობა გადაუხადა პირველ რიგში ორგანიზაციის მოქმედ გენერალურ მდივანს, ტალებ რიფაის და წევრ სახელმწიფოებს მხარდაჭერისა და გამოცხადებული ნდობისთვის და წევრი სახელმწიფოების ერთიანობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

„დიდი მადლობა თითოეულ წევრ სახელმწიფოს, მინდა დაგპირდეთ, რომ ეს არ არის მხოლოდ ჩემი გამარჯვება, ეს ამ ორგანიზაციის გამარჯვებაა. გპირდებით, რომ ჩვენ ერთად ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენ ვართ ერთად, ჩვენ ვართ ძმები, დები, ბევრმა ქვეყანამ აღნიშნა ეს და იმედი მაქვს, რომ ჩვენ ვიმუშავებთ ერთად, ჩვენ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი”, - აღნიშნა პოლოლიკაშვილმა.

ზურაბ პოლოლიკაშვილმა მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობას - პრემიერ-მინისტრს, გიორგი კვირიკაშვილს და ვიცე-პრემიერ მინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრს მიხეილ ჯანელიძეს.

„პირადად დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს პრემიერ-მინისტრს. მისი და ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის თაოსნობით განხორციელდა ეს მართლაც რომ ძალიან დიდი მიღწევა. ამ პროცესში იყო ჩართული ძალიან ბევრი ადამიანი. რომ არა ასეთი ერთსულოვნება და ერთად დგომა, ძალიან რთული იქნებოდა ამ ძალიან დიდი მიზნის მიღწევა“, - განაცხადა მან.

აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს კანდიდატი საერთაშორისო ორგანიზაციის მაღალი ხელმძღვანელის პოზიციას დაიკავებს. ახალი გენერალური მდივნის დამტკიცება UNWTO-ს გენერალური ასამბლეის 22-ე სესიის ფარგლებში მოხდა, რომელიც ჩინეთში, ქ. ჩენგდუში იმართება.

# ხანდახან მეჩვენება, რომ საქართველოში თამადობა სჯობს პრემიერ-მინისტრობას

ქართველები ზოგჯერ სუფრის წესებს უკეთ იცავენ, ვიდრე საგზაო მოძრაობისას. ამიტომაც, ხანდახან მეჩვენება, რომ საქართველოში თამადობა სჯობს პრემიერ-მინისტრობას, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა საფრანგეთის ქალაქ ბორდოში, ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა.

გიორგი კვირიკაშვილმა ოფიციალურ ვახშამზე საქართველოში მეღვინეობის 8 000 წლიანი ისტორიის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოსადმი მიძღვნილი ღონისძიების მეღვინეობის ციტადელში - ბორდოში ჩატარება საქართველოსთვის შესანიშნავი შესაძლებლობაა.

„ხშირად ამბობენ, რომ ქართველებს ვენებში სისხლის ნაცვლად ღვინო უჩქეფთ. მინდა აღვნიშნო, რომ ქართული კულტურა ასევე გამსჭვალულია მეღვინეობის ელემენტებით. ღვინო გვხდება ყველგან - მუსიკაში, პოეზიაში, ფრესკებში, ქართულ ორნამენტებში. მართლაც, ის ფაქტი, რომ ჩვენ დავდგით ქვევრი - თიხის ისტორიული ჭურჭელი, რომელიც ღვინის დასაყენებლად გამოიყენება, წარმოადგენს ქართველების მრავალსაუკუნოვანი ოცნების გამოძახილს. „იუნესკომ“ ქვევრი აღიარა და ის შეიტანა კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში. ქართველებისთვის კი ქვევრი ბევრად მეტს ნიშნავს.

გარდა ამისა, ქართული სუფრა - ეს არი სოციალური თანაარსებობის კიდევ ერთი წმინდა ქართული სახე. ის შედგება ოთხი მთავარი კომპონენტისგან: კერძები, ღვინო, სიმღერა და სადღეგრძელო. თამადა ნებისმიერი სუფრის მეთაურია. სუფრაზე დაცულია სადღეგრძელოების მკაცრად გაწერილი თანმიმდევრობა და წესი.

მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ქართველები ღვინოს სვამენ არა მხოლოდ ამ ცხოვრებაში, არამედ მის შემდეგაც - არქეოლოგიური გათხრების შედეგად სამარხებში აღმოჩენილია დიდი რაოდენობის ღვინის ჭურჭელი.

მოხარული ვარ, მოგიწვიოთ ჩვენს ქვეყანაში. ქართველები ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანი ერია მსოფლიოში. ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ არიან ისინი ასე ერთგული თავიანთი რელიგიისა, არის ის, რომ ღვინო ზიარების ძირითადი კომპონენტია“, - აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

# შავნაბადას მამათა მონასტერში კელიები დაიწვა

გარდაბანში, სოფელ თელეთთან ახლოს, შავნაბადას მამათა მონასტრის ტერიტორიაზე ხანძარი გაჩნდა. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, ცეცხლი ორსართულიან შენობას მოედო, სადაც მონასტრის ბერების კელიებია განთავსებული.

მათივე ინფორმაციით, ადგილზეა 5 ცისტერნა, 25-ზე მეტი მეხანძრე-მაშველი. ამ დროისთვის ხანძრი ლოკალიზებულია და ჩაქრობის სამუშაოები მიმდინარეობს. ხანძრის გამომწვევი მიზეზები ჯერჯერობით უცნობია.

შავნაბადას მამათა მონასტერი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასთან 1992 წელს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაარსდა.

# ჩრდილოეთ კორეამ კიდევ ერთი საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტა გამოსცადა

იაპონიისა და სამხრეთ კორეის ოფიციალური ინფორმაციებით, ჩრდილოეთმა კორეამ საშუალო რადიუსის კიდევ ერთი ბალისტიკური რაკეტა გამოსცადა, რომელმაც დაახლოებით 3700 კილომეტრის მანძილი დაფარა, იაპონიის კუნძულ ჰოკაიდოს გადაუფრინა და წყნარ ოკეანეში ჩავარდა.

იაპონიის მინისტრთა კაბინეტის მდივანმა, იოშიჰიდე სუგამ ჩრდილოეთ კორეის მოქმედებას აღმაშფოთებელი პროვოკაცია უწოდა და განაცხადა, რომ ტოკიო ყველა აუცილებელ საპასუხო ზომას მიიღებს. ფხენიანი პროვოკაციების გაგრძელებაში დაადანაშაულა სამხრეთ კორეის მთავრობამაც.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, რექს ტილერსონის განცხადებით, ჩრდილოეთ კორეა თავისი პროვოკაციებით ემუქრება ამერიკელების მოკავშირე იაპონელ ხალხს. სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებსაიტზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ტილერსონი აღნიშნავს, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ფხენიანისთვის უკვე დაწესებული სანქციები არ წარმოადგენს მოქმედების ბოლო ზღვარს და მსოფლიოს სახელმწიფოებმა დამატებითი ზომები უნდა მიიღონ კიმ ჩენ ინის რეჟიმის წინააღმდეგ. რექს ტილერსონის თქმით, რუსეთი ჩრდილოეთ კორეის მოქალაქეების იძულებით შრომას იყენებს, ჩინეთი კი ფხენიანს ნავთობს აწვდის. სახელმწიფო მდივნის განცხადებით, რუსეთმა და ჩინეთმა დამოუკიდებელი მოქმედებებით უნდა დაამტკიცონ, რომ არ მოითმენენ ჩრდილოეთ კორეის მიერ რაკეტების უგუნურ გამოცდას.

სააგენტო „როიტერის“ ინფორმაციით, ფხენიანის მიერ ბალისტიკური რაკეტის ახალი გამოცდის გამო, დღეს ნიუიორკში გაიმართება გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო შეხვედრა. მისი მოწვევა იაპონიამ, სამხრეთ კორეამ და აშშ-მა მოითხოვეს.

# ლონდონში ტერაქტის შედეგად 22 ადამიანი დაშავდა

დიდ ბრიტანეთში, ლონდონის მეტროპოლიტენის ერთ-ერთ სადგურში მომხდარი აფეთქების შედეგად 22 ადამიანი დაშავდა. „ბი ბი სის“ ინფორმაციით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. გამოძიების წინასწარი შედეგებით, ასაფეთქებელი მოწყობილობა ხალხის მოსაკლავად იყო გამიზნული, თუმცა სათანადოდ არ იმუშავა.

ექსპერტების განცხადებით, მოწყობილობაში მცირე აფეთქება მოხდა და არა დეტონაცია, რომელსაც აფეთქების რადიუსში ყველას მოკვლა შეეძლო.

აფეთქება, რომელსაც სამართალდამცავები ტერაქტის მუხლით იძიებენ, „პარსონს გრინის“ მეტროსადგურთან, ვაგონში დღეს დილით მოხდა. თვითმხილველები აცხადებდნენ, რომ აფეთქდა „თეთრი ვედრო“, რომელიც ვაგონში იყო დატოვებული.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ დღის ბოლოს ეროვნული უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა გაიმართება.

ლონდონში ტერაქტი მოხდა ივნისშიც. ლონდონის ხიდზე, თავდამსხმელებმა რამდენიმე ფეხით მოსიარულეს ავტომანქანა დააჯახეს, რის შემდეგად ახლოს მდებარე ბარებსა და რესტორნებში ცივი იარაღით რამდენიმე ადამიანი დაჭრეს. ტერაქტის შედეგად შვიდი ადამიანი დაიღუპა.  მომხდარზე პასუხისმგებლობა ე.წ. „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

# გილოცავთ!



პედაგოგებო, მოსწავლეებო და სტუდენტებო, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

ყოველი სასწავლო წელი თითოეული თქვენგანისთვის განსაკუთრებულია, რადგან ცოდნისა და გამოცდილების შეძენის ახალ ეტაპს გულისხმობს. გისურვებთ ნაყოფიერ შრომას, რადგან თქვენი წარმატება ნიშნავს ჩვენი რაიონისა და ქვეყნის წარმატებას. ამიტომაც, ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენს შემდგომ მიღწევებზე სწორედ ქვეყნის მომავალია დამოკიდებული, გისურვებთ, რომ იყოთ საუკეთესოები საუკეთესოთა შორის...

დღევანდელ დღეს განსაკუთრებულად ვულოცავ პირველკლასელებს.

ვუსურვებ მათ პირველ ცხოვრებისეულ გამოწვევებთან ღირსეულად გამკლავებას, ბევრ საინტერესო წიგნს, პედაგოგსა და მეგობარს...

**პატივისცემით,**
ნუგზარ პაპიაშვილი, **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**



ყველა მოსწავლეს, მშობელს,სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელს, თითოეულ პედაგოგს გულითადად გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! წარმატებებს გისურვებთ თქვენს საქმიანობაში, რადგან კარგი განათლება ყველაზე საუკეთესო ინვესტიციაა, რომელიც კი შეიძლება მომავალ თაობაში ჩაიდოს. განათლებული და თავისი საქმის პროფესიონალი ახალგაზრდობა ქმნის ქვეყნის წარმატებულ მომავალს. დედოფლისწყარო არ უჩივის ასეთი ახალგაზრდების სიმწირეს და იმედი მაქვს, მომავალშიც ასე იქნება.

ყველა პედაგოგისთვის საამაყოა, როდესაც მისი აღზრდილი წარმატებულია და ამაყობს მისით. ორმაგად სასიამოვნოა, როცა მასწავლებლის მიერ გაწეული ღვაწლი ფასდება!

ახალ სასწავლო წელს გამორჩეულად ვულოცავ პირველკლასელებსა და პირველკურსელებს, მათ, ვინც ცხოვრების ახალ ეტაპს იწყებს.

წარმატებულ და ნაყოფიერ სასწავლო წელს გისურვებთ!

**პატივისცემით,**
ირაკლი შიოლაშვილი, **საქართველოს პარლამენტის წევრი**

# ახალი სასწავლო წელი დაიწყო!

15 სექტემბერს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა დაიწყო. საზეიმო განწყობა ყველაზე მეტად საჯარო სკოლებში იგრძნობოდა. ასე იყო დედოფლისწყაროშიც. ზაფხულის განმავლობაში რამდენიმე თვის უნახავი, ერთმანეთს მონატრებული ბავშვები, სიყვარულით ანთებული თვალებით ხვდებოდნენ თანაკლასელებს, სკოლის მეგობრებს... იყო თეთრი პერანგების სიჭარბე და ყვავილების თოვა...

განსაკუთრებული მღელვარება პირველკლასელებს ეტყობოდათ. მათი ცნობისმოყვარე და დაბნეული გამოხედვა სიტყვებზე უკეთ ამბობდა სათქმელს... იყო ბევრი სტუმარი და ახალი სასწავლო წლის მილოცვა, სახელმძღვანელოებისა და ნოუთბუქების გადაცემით გამოწვეული სიხარული... ამდენი საჩუქარი ერთბაშად ხომ იშვიათია...

სკოლაში პირველი დღის დასასრულს კი მასწავლებლის გაცნობა, რომელიც დედა-შვილური სითბოთი და ყურადღებით გამოირჩევა და თანაკლასელებთან შეხვედრა: აქედან ზოგი ნაცნობია, ბაღის მეგობარი, ზოგიერთს-პირველად ხედავს... მასწავლებელმა ბავშვები საკუთარი პრინციპით დააწყვილა მერხებთან. მარის არ უნდოდა დაჯდომა იმ უცნობ ბიჭთან ერთად, მაგრამ არ გაუპროტესტებია, უხმოდ დამორჩილდა მასწავლებლის სურვილს, თუმცა, უკმაყოფილო გამოხედვა გასცემდა მის შინაგან განწყობას... მან ჯერ არ იცის, რომ წლების შემდეგ ბავშვობის მეგობრები-სწორედ ეს ადამიანები, ყველაზე ახლობლებად იქცევიან, ადამიანებად, რომლებთან ყოველი შეხვედრაც ბავშვობაში დააბრუნებს... მანამდე კი წინ 12 წელი აქვთ, ერთად გასავლელი თორმეტი წელიწადი...

წარმატებულ და ნაყოფიერ წლებს ვუსურვებთ ყველა მოსწავლესა და პედაგოგს, სტუდენტს, განსაკუთრებით კი- სკოლაში ახლადფეხშედგმულებს!



# ძლიერი ქვეყნის მშენებლობისთვის...



მთელი ქვეყნის დიდი ძალისხმევაა ჩადებული განათლების სისტემის განვითარებაში, ჩვენს ბავშვებს დღეს ყველა პირობა აქვთ შექმნილი, ხარისხიანი განათლების მისაღებად, მთავარია, მათ ამის სურვილი ჰქონდეთ.

ახალი სასწავლო წელი , ისევე როგორც სრულიად საქართველოში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებშიც საზეიმო განწყობით დაიწყო.

N1 საჯარო სკოლის ეზოში დილიდან იკრიბებოდნენ მოსწავლეები, მშობლები და პედაგოგები. ისმოდა მილოცვები, მთელი ზაფხულის მანძილზე უნახავი ბავშვების მხიარული შეხვედრები, კისკისი, გულთბილი მოკითხვა.

სკოლის უფროსკლასელები უმცროსკლასელებთან ერთად შემუშავებული საკონცერტო პროგრამით წარსდგნენ მშობლების, გულშემატკივრებისა და მოწვეული სტუმრების წინაშე. სკოლას ახალი სასწავლო წლის აღსანიშნავად სტუმრად ეწვივნენ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა სამუკაშვილი, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი და განათლების საკითხებში კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ბახუტაშვილი, გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორი ეთერ ზურიკაშვილი. თითოეულმა მათგანმა ახალი წარმატებები უსურვეს და ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს მოსწავლეებსა და სკოლის 2017 წლის კურსდამთავრებულებს.

ღონისძიების დასასრულს სკოლის დირექტორმა ეთერ ოთარაშვილმა სიტყვით მიმართა მოსწავლეებს:

-ჩემო ძვირფასო ბავშვებო, გულით გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, ძლიერი ქვეყნის მშენებლობისთვის ჩვენი მომავალი თაობების განათლების დონეს უმთავრესი როლი უკავია. დღეს ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად თქვენთვის იწყება ახალი ეტაპი ცოდნის, ახალი მეგობრებისა და ახალი გამოცდილებების შეძენისა. ეს ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი პირველკლასელებისთვის და კურსდამთავრებულთათვის. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ თუ წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ხუთი 100%-ანი გრანტის მფლობელი სტუდენტი ჰყავს, აქედან სამი მათგანი ჩვენი დიდი ტრადიციებისა საგანმანათლებლო რესურსის მქონე სკოლის კურსდამთავრებულია. მინდა, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ თითოეულ თქვენგანს ახალი სასწავლო წლის დაწყება, გისურვოთ ახალი წარმატებები და იმედს გამოვთქვამ, რომ თქვენ ყველა ერთად გაათმაგებული ენერგიით შეუდგებით სასწავლო პროცესს , რადგან მხოლოდ ასე შევძლებთ ძლიერი ქვეყნის აშენებას!“





აწკრიალდა სკოლის ზარი, მას ოვაციებით შეხვდნენ ბავშვები, შემდეგ გაეშურნენ საკლასო ოთახებისკენ, სადაც მათ უფასო სახელმძღვანელოები და ახალი მერხები ელოდათ, ხოლო პირველკლასელებს წიგნებთან ერთად სასწავლო ბუკები გადაეცათ.

**მასალა მოამზადა**
ელზა ხარაშვილმა

# ათასწლეულის ფონდი ორი სკოლის ძირეულ რეაბილიტაციას იწყებს

***ამერიკული მხარის დაფინანსებით ათასწლეულის ფონდი დედოფლისწყაროში ორი საჯარო სკოლის შენობის სრულ რეაბილიტაციას იწყებს. ძირეული სარემონტო სამუშაოები სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლასა და ზემო ქედის №2 საჯარო სკოლაში ჩატარდება. საგულისხმოა, რომ ასე მასშტაბური რეაბილიტაცია დედოფლისწყაროს არცერთ სკოლას არ ჩატარებია. მიმდინარე სასწავლო წლის დასრულებამდე ხსენებული ორი სკოლა თანამედროვე სტანდარტებით მოეწყობა და შესაბამისი ტექნიკითა და ინვენტარით აღიჭურვება.***

როგორც გაზეთ „შირაქს" ხსენებული საჯარო სკოლების ადმინისტრაციაში განუცხადეს, ათასწლეულის ფონდის წარმომადგენლებმა და განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის თანამშრომლებმა სკოლებში რეაბილიტაციის პროექტი სოფლის მოსახლეობას, პედაგოგებს და სხვა დაინტერესებულ პირებს რამდენჯერმე გააცნეს და პრეზენტაცია მოაწყვეს. საყურადღებოა ისიც, რომ პრეზენტაციებზე გამოთქმული შენიშვნები და ადგილობრივი მოსახლეობის წინადადებები მაქსიმალურად გაითვალისწინეს და პროექტი რამდენჯერმე ჩაასწორეს.

რეაბილიტაციის დაწყებისთანავე სკოლებს შენობების დაცლა მოუწევთ, თუმცა როგორც გავარკვიეთ, ეს ფაქტი უხერხულობას არც სკოლების ადმინისტრაციას უქმნის და არც მოსწავლეებს. დადებითი ცვლილებების მოლოდინში მათთვის დროებითი მიგრაცია სრულიად მისაღებია. დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი „შირაქთან" საუბრისას ამბობს, რომ ზემო ქედის სკოლის მოსწავლეები გვერდით მდებარე სოფელში, არხილოსკალოს საჯარო სკოლის შენობაში ივლიან, ხოლო გამარჯვების სკოლა დროებით ხორნაბუჯის საჯარო სკოლის შენობაში განთავსდება.

ეთერ ზურიკაშვილი (**საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი**): „ტრანსპორტით ისედაც უზრუნველყოფილი არიან სკოლები, თუმცა ამ შემთხვევაშიც პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის სპეციალური ტრანსპორტი იმუშავებს, ასე რომ მეზობელ სოფლებში გადაადგილების კუთხით შეფერხებები არ ექნებათ. ჯერ კიდევ გასულ წელს იყო ცნობილი, რომ დედოფლისწყაროში ორი სკოლის რეაბილიტაცია მოხდებოდა და ამ ამბავს ძალიან გახარებულები შევხვდით. ტენდერი გამოცხადდა, თუმცა ჯერ არ დაწყებულა რეაბილიტაცია. რამდენიმე კვირაში ველოდებით, რომ გამარჯვებული კომპანია საქმეს შეუდგება".

სოფელ გამარჯვების ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის საჯარო სკოლის დირექტორი ნინო სულიაშვილი-არაბული ამბობს, რომ სკოლის არსებობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი დგება, როცა შენობის სრული რეაბილიტაცია მოხდება. დირექტორის ინფორმაციით, სკოლის ეზოსა და მესერის რეაბილიტაციაზე კი თავად განათლების სამინისტრო იზრუნებს.

„ჩვენს სოფელში სკოლა 1980 წელს ხანძრის შედეგად დაიწვა და ამ პერიოდში მოხდა აღდგენა. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ მას შემდეგ ამ სკოლაში რეაბილიტაცია აღარ მომხდარა. ძველი სკოლაა, თუმცა საკმაოდ მოვლილი და კარგად შენახული. ბოლო წლებში ორჯერ გვესტუმრა განათლების მინისტრი და ორივე შემთხვევაში გაოცებულები დარჩნენ, ასე კარგად შენახული სკოლა არ გვინახავსო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ლაბორატორიები კომუნისტური პერიოდისაა, მხოლოდ კოლბები, სინჯარები და ძველი ინვენტარი შემოგვრჩა, ისიც ძალიან ელემენტარული ცდები რომ ჩატარდეს. ელექტროენერგიაც ბევრ ოთახში არ გვაქვს. არც სველი წერტილებია მოწესრიგებული, შორს გვაქვს საპირფარეში, არც ექიმის კაბინეტია. ეს ყველაფერი რეაბილიტაციის შემდეგ თანამედროვე სტანდარტების შესასბამისად მოეწყობა და აღიჭურვება. ტენდერის შედეგად გამარჯვებულმა კომპანიამ უკვე შემოიტანა ავეჯი, კომპიუტერები და აღჭურვილობა. მან თავისი ვალდებულება შეასრულა და დასაწყობებული გვაქვს.

**— კონკრეტულად როდის დაიწყება რეაბილიტაცია?**

— შენობა უკვე დაცლილი გვქონდა, ველოდით, რომ სასწავლო წელს უკვე სხვა შენობაში დავიწყებდით, მაგრამ როგორც გაირკვა, რამდენიმე კვირა გვიანდება, ამიტომ პროცესი რომ არ შეფერხებულიყო, ავეჯი ისევ დავალაგეთ და სწავლა ისევ ამ შენობაში დავიწყეთ. ყოველმხრივ მომზადებული შევხვდით ახალი სასწავლო წლის დაწყებას, ერთი ისაა, რომ გავწვალდით, უკან დაბრუნება რომ მოგვიხდა. როგორც განათლების მინისტრის მოადგილე გია მამუკელაშვილი გვეუბნება, მაქსიმუმ 1 თვეში დაიწყება რეაბილიტაცია. ის განათლების სამინისტროში ინფრასტრუქტურის მიმართულებას კურირებს და ამბობს, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანია რამდენიმე კვირაში შეუდგება საქმეს. პროექტის მიხედვით ყველაფერი გაწერილია. წლის განმავლობაში სამჯერ ჩატარდა მისი პრეზენტაცია. განვიხილეთ დეტალები და ყველა მხარე მოვიწვიეთ, რომ ყველას ჰქონოდა ინფორმაცია, რა იგეგმება. ყველაზე მეტად კმაყოფილი იმით ვართ, რომ ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე მოგვეცა საშუალება ადგილობრივი მაცხოვრებლების პოზიცია დაფიქსირებულიყო და შენიშვნები გაეთვალისწინებინათ. კორექტივებიც შევიდა და ახლა მოუთმენლად ველით პროცესის დაწყებას. სოლიდური თანხებია გამოყოფილი, თუმცა, კონკრეტულად რა თანხა დაიხარჯება, ჩვენთვის უცნობია. რჩება ეზოს და მესერის კეთილმოწყობა, თუმცა გვაქვს პირობა, რომ ამას თავად სამინისტრო დააფინანსებს და ბოლომდე მიიყვანს, რომ კეთილმოწყობილი ჩაგვბარდეს. სკოლაში კარ-ფანჯარა ახალი გამოცვლილია, მეტალოპლასტმასი დამონტაჟდა და შესაძლოა ის უცვლელად დატოვონ, ასევე ჭერი, იატაკი, ყველაფერი უნდა გაკეთდეს.



**— გათბობის საკითხი როგორ მოგვარდება?**

— ჩვენს სოფელში ბუნებრივი აირი ხელმისაწვდომია, ამიტომ რეაბილიტაციის შემდეგ ახალი გათბობის სისტემა ამოქმედდება და ასე გავთბებით. თუმცა ზემო ქედის საჯარო სკოლაში იგივე პროექტი ხორციელდება, მაგრამ ვინაიდან ის სოფლები გაზიფიცირებული არ არის, ერთი სხვაობა ის იქნება, რომ ჩვენგან განსხვავებით იქ გათბობის ალტერნატიული გზა მოინახება, დანარჩენ შემთხვევებში, ათასწლეულის ფონდი ორივე სოფელში ერთნაირ პროექტს ახორციელებს.

**— როგორც ვიცი, მანდატურის შემოსვლის საკითხიც გადაწყვეტილია.**

— გეთანხმებით. რეაბილიტაციის დასრულებისთანავე ჩვენს სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოების გაზრდის მიზნით მანდატურის სამსახურიც ამოქმედდება. იმხელა მნიშვნელობის პროექტია, ახალი ეტაპი იწყება ჩვენი სკოლის არსებობის ისტორიაში. ველოდებით, რომ ერთიორად ამაღლდება როგორც პედაგოგთა მოტივაცია, ისე მოსწავლეების მონდომება, უფრო მეტი ხალისით ივლიან კეთილმოწყობილ სკოლაში.

**— დასრულების ვადები როგორაა განსაზღვრული, ამავე სასწავლო წელს თუ მოესწრება ახალი შენობის ჩაბარება?**

— პროექტის მიხედვით გაწერილია, რომ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ 7 თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს შენობის ჩაბარება. ამიტომაც გვაქვს მოლოდინი, რომ ამავე სასწავლო წლის ბოლოს ჩაგვბარდება ახალი შენობა.

**— ქალბატონო ნინო, რა კრიტერიუმებით მოხდა ამ ორი სკოლის შერჩევა?**

— როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, ათასწლეულის ფონდი პრიორიტეტს ანიჭებდა ისეთ სკოლებს, რომელ სოფლებშიც გაზრდილი მიგრაციაა, პროექტის მიზანია ადგილზე მოსახლეობის დამაგრებას შეუწყოს ხელი. ალბათ სიდიდის მიხედვითაც შეირჩა. 350 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის შენობა იქნება. თუმცა, ამ დროისთვის 125 მოსწავლე გვყავს".

ამას გარდა, ცნობილია ისიც, რომ დედოფლისწყაროში კიდევ ერთი სოფელი ელოდება ახალი სკოლის მშენებლობის დაწყებას. სოფელ ზემო მაჩხაანში ხანძრის შედეგად სკოლის განადგურების შემდეგ განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ დამწვარი შენობის დემონტაჟი და ახალი სკოლის მშენებლობა მოხდეს. უკვე არსებობს შესაბამისი პროექტიც, თუმცა, ხელისუფლებას მშენებლობისთვის საჭირო თანხები მოძიებული ჯერ არ აქვს.

ილია მარტყოფლიშვილი

# რა სიახლეები დახვდებათ მოსწავლეებს სკოლებში და რა დაუჯდა სამინისტროს ახალი პროექტები

საჯარო სკოლებში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. სკოლები სასწავლო წელს რამდენიმე სიახლით ხვდებიან.

სკოლის ბუფეტებში აიკრძალა არაჯანსაღი პროდუქტები და მოსწავლეებს აღარ დახვდებათ - საღეჭი რეზინი, კანფეტები, შოკოლადი, არომატიზებული წასახემსებლები (მაგალითად ჩიფსები, ჟელიბონი და ა.შ.), გარდა თხილეულის, ხილისა და ბოსტნეულის, რომელთაც მარილი, შაქარი ან ცხიმი აქვთ დამატებული. იკრძალება ასევე - მაიონეზით შეზავებული პროდუქციის, სოკოს, ასევე დაკონსერვებული პროდუქტების, კრემიანი საკონდიტრო ნაწარმის, მინერალური წყლის გარდა სხვა გაზიანი სასმელებისა და თერმულად დაუმუშავებელი კვერცხის გაყიდვა სკოლის ბუფეტებში.

კიდევ ერთი ახალი ინიციატივა ვაშლის დარიგების კამპანიაა. წლევანდელ სასწავლო წელს დედაქალაქის 10 სკოლის, 20 ათასი მოსწავლე კვირაში ერთხელ საჩუქრად ვაშლს მიიღებს. აღნიშნული კამპანიისთვის განათლების სამინისტრომ 26 ათასი ვაშლის შესაძენად ტენდერი უკვე გამოაცხადა. პროექტი უწყებას ჯამში 78 ათასი ლარი დაუჯდება.

ამასთან, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლებში სწავლების პროცესში დაწყებით კლასებში სამაგიდო თამაშების გამოყენება დაიწყება. სამაგიდო თამაშები ქვეყნის მასშტაბით 500-მდე სკოლაში ყველა დაწყებით კლასში დარიგდება. როგორც სამინისტროში აცხადებენ, თამაშები ძირითადად მცირეკონტინგენტიან სკოლებს დაურიგდებათ. ამ პროექტისთვისაც სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერი უკვე დასრულდა. სატენდერო პირობების თანახმად, პროექტი სამინისტროს ჯამში 89 780 ლარი დაუჯდება.

წელს საჯარო სკოლებში რეგისტრირებული დაახლოებით 50 300 პირველკლასელი თავიანთ დამრიგებლებთან ერთად პორტაბელურ კომპიუტერებს Acer TravelMate B117 Notebook PC-ით მიიღებენ საჩუქრად. განათლების სამინისტრომ ამ მიზნით ჯამში 53 700 პორტაბელური კომპიუტერი შეიძინა. 2017 სასწავლო წელს სკოლებში ყველა მოსწავლე პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით უფასო სახელმძღვანელოებს მიიღებს, სახელმძღვანელოების 60% ახალი, 40% კი მეორადია.



# რთველი 2017 – რეალობა და პერსპექტივები

რთველი 2017 ძალაში შედის. დაიკრიფა ყურძნის ნახევარი. როგორც ამბობენ, წელს რთველი პრობლემებისა და ზედმეტი ხმაურის გარეშე მიმდინარეობს. რა მდგომარეობაა დედოფლისწყაროში?

გეორგ ჩოუშიანი, ***საბათლოს მკვიდრი*** – „ხალხი კმაყოფილია, ცოტა რქაწითელის ფასით იყვნენ უკმაყოფილონი, ფაქტიურად, ისევ შარშანდელი ფასი გამოვიდა-75 თეთრი, ხოლო საფერავის ფასი ლარი და 20 თეთრიდან ლარნახევრამდე თამაშობს".

გოდერძი გონაშვილი, ***მეღვინე, აკადემიკოსი,*** – „ვფიქრობ, რომ ქართული მევენახეობა ნელ-ნელა წინ მიდის, კარგია, რომ სახელმწიფო ქარხნები კერძო ქარხნებმა ჩაანაცვლეს, რაც უზრუნველყოფს ხარისხიანი ღვინოების წარმოებას საქართველოში. ის, თუ რა უნდა გაკეთდეს სახელმწიფოს მხრიდან, რომ ევროპულ სტანდარტს მივუახლოვდეს ჩვენი ღვინის წარმოება, ასე ვუპასუხებდი,-მაინც და მაინც სახელმწიფოს ნუ მოვთხოვთ ნურაფერს, ისევ გლეხი და მეღვინე უნდა იყოს დაინტერესებული, ააწყოს თავისი საქმე, სხვანაირად არაფერი არ გამოვა. მე თუ მკითხავთ, ქართულ ღვინოს მსოფლიოში არცერთი ღვინო არ შეედრება და მას პირველ ადგილს მივანიჭებდი, თუმცა საზღვარგარეთი ასე არ გვაღიარებს. ჩვენ ტექნოლოგიები გვაკლია მაღალსტანდარტული ღვინის წარმოებისთვის და რეკლამა, რომელიც აუცილებელი ატრიბუტია იმისთვის, რომ ჩვენი ღვინო გახდეს პოპულარული. რაც არ უნდა ვამტკიცოთ, ასე მიაჩნიათ, ძლიერი ქვეყნები წარმოქმნიან ხარისხიან ღვინოს, სუსტი ქვეყნებისუსტ ღვინოს, ჩვენი ქვეყნის სიძლიერე და განვითარებაც პირდაპირ კავშირშია ღვინის რეკლამასთან, ეს ყველაფერი ჯაჭვურად გადაბმულია ერთმანეთზე. ვფიქრობ, საბოლოო ჯამში მაინც გვეშველება და დღითიდღე წინ წავალთ, თუმცა, უნდა მოვიწადინოთ".

ილია მეხრიშვილი, საფრანგეთში მცხოვრები ქართველი მევენახე, - „წლევანდელი რთველი, ასე თუ ისე, პოზიტიური იყო. ნიშანდობლივია, რომ წელს სუბსიდია აღარ გახდა საჭირო, რაც დარგის



განვითარებაზე მიუთითებს. ახლა პრობლემა უკვე ისაა, რომ ზედმეტი ჩარევა ხდება სახელმწიფოს მხრიდან, რაც საწყისი ფასის გამოცხადებაში გამოიხატა. მე, მაგალითად, გუშინ 65 თეთრად ჩავაბარე 5 ტონა, ხოლო მეორე დღეს 75 თეთრი გახდა. ეს ხალხის დასაწყნარებლად გამოცხადდა. ვფიქრობ, ამ დარგს სისტემური მიდგომა ესაჭიროება. სურვილი კი აქვს ღვინის სააგენტოს და სოფლის მეურნეობის მინისტრს, რომ უკეთესად გააკეთოს, მაგრამ კერძო პირების ინტერესები ჩანს, მათი, ვინც ბერკეტებსაც ფლობს და დაინტერესებულია ხალხის მონაგრებული იაფად ჩაიგდოს ხელში. მოთხოვნა რომ გაზდილია ჩვენს ღვინოზე, ცხადია, რადგან სუბსიდიას ისე არ მოხსნიდნენ. სისტემურ ცვლილებებზე რაღაც ყურმოკვრით ისმის, მაგრამ რეალურად არაფერი არ იცვლება. ხარისხის კონტროლიც არ ხდება. სათავო ტურიზმიც მიებმეოდა ამ ყველაფერს და სოფელში, ოჯახებში ცოტა მეტი ფული შევიდოდა.

**– მაინც,რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ?**

- უნდა მოხდეს ხარისხის კონტროლი, პირველ რიგში, გაიცეს გრძელვადიანი დაბალ პროცენტიანი სესხები, პატარა მარნების შესაქმნელად, რომელიც ტურიზმზე იქნება მიბმული, კიდევ ბევრი მრავალი ნიუანსია ასეთი...

**ცისია მამულაშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი-** "13 სექტემბრის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 25,4 ათასი ტონა ყურძენი. მევენახეებმა ყურძნის რეალიზაციის შედეგად, შემოსავლების სახით უკვე 26,5 მლნ ლარი მიიღეს. ყურძნის დღელამური გადამუშავების მაჩვენებელმა 3,4 ათას ტონას გადააჭარბა, რაც ნიშნავს, რომ რთველი კახეთის რეგიონში აქტიურ ფაზაშია. ამ ეტაპისთვის რთველის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებულია 150 ღვინის კომპანია, ყურძნის გადამუშავების პროცესში უკვე ჩართულია 82. მთლიანი გადამუშავებული ყურძნიდან 10 ათასი ტონა რქაწითელი, 12,7 ათასი ტონა საფერავი, 1,1 ათასი ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია. გადამუშავებული ყურძნის რაოდენობით მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგი მდგომარეობაა: ყვარელი - 9,5 ათასი ტონა, სიღნაღი - 5,4 ათასი ტონა, თელავი - 3,4 ათასი ტონა, გურჯაანი - 3,5 ათასი ტონა, დედოფლისწყარო - 1,9 ათასი ტონა, ახმეტა - 722 ტონა, ლაგოდეხი - 579 ტონა და საგარეჯო - 300 ტონა.

მეღვინეობის დარგის არსებული მდგომარეობის (ღვინის ექსპორტის ზრდა, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია, გაფართოებული ღვინის საწარმოები, იაფი აგროკრედიტებისა და აგროდაზღვევის განვითარებული სისტემა) და ყურძნის შესყიდვაზე კერძო სექტორის მხრიდან მოთხოვნილების ზრდის გათვალისწინებით, კახეთის რეგიონში 2017 წლის რთველზე ყურძენზე სუბსიდია აღარ გაიცემა. ამასთან ერთად, ბრენდის წარმოების განვითარების ხელშესაწყობად, ღვინის კომპანიები, რომლებიც საბრენდე სპირტისა და კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის წარმოების მიზნით რქაწითელსა და კახური მწვანის ჯიშის 1 კგ ყურძენს არანაკლებ 70 თეთრად შეისყიდიან, სახელმწიფოსგან კომპენსაციის სახით 35 თეთრს მიიღებენ. წელს ველოდებით 150 ათას ტონამდე ყურძნის გადამუშავებს. ფასებზე ჩვემ არ ვაკეთებთ კომენტარს, რადგან არ არის სუბსიდია და არის თავისუფალი ფასები ისე, როგორც კომპანიებისგან ვიცით, - რქაწიტელის ფასი 70-80 თეთრია ხარისხის მიხედვით. საფერავი იწყება 1-დან და ზონის ყურძენმა 2.35-2.50 თეთრსაც მიაღწია".

„რთველი 2017" სექტემბრის დასაწყისიდან დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაონებში დაიწყო და ეტაპობრივად კახეთის ყველა სხვა რაიონს მოიცავს.

ლალი მეხრიშვილი

# კირქვის საწარმო „არწივის ხეობა" გაქურდეს

***დედოფლისწყაროშიმდებარე კირქვის ქარხანა „არწივისხეობა" გაქურდეს. თვითმხილველების ინფორმაციით, შემთხვევა 8 სექტემბერს მოხდა. დაშავებულია ამავე საწარმოს დარაჯი, 1938 წელს დაბადებული გოდერძი გონაშვილი, რომელიც ჯერ დაბეს, შემდეგ კი აწამეს. შენობიდან მოპარულია დიდი ოდენობისა- და ღირებულების კაბელები.***





საწარმოს თანამშრომლები ჟურნალისტებთან საუბრისას ამბობენ, რომ კაბელი იმდენად მძიმეა, ორი მძარცველი ნაქურდალის გატანას ვერ მოახერხებდა. სააქციო საზოგადოება „არწივის ხეობის" მთავარი მენეჯერი თემურ ჭუჭულაშვილი ვარაუდობს, რომ თავდამსხმელი უფრო მეტი იყო.

„დარაჯი გაკოჭეს, ხელფეხი თოკით გაუკრეს და თავისივე სადარაჯო ოთახში ჩაკეტეს. შემდეგ კი გათენებამდე თავისუფლად იმოქმედეს. მომხდარის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ საქმეს დაახლოებით 4-5 ადამიანი აკეთებდა, რადგან მოპარული კაბელები საკმაოდ სქელი და მძიმეა, ცოტა ადამიანს კი ამ მასშტაბის ქურდობის ჩადენა ფიზიკურად გაუჭირდებოდა. როგორც გავარკვიეთ, 100 მეტრზე მეტი სიგრძის კაბელია მოჭრილი და გატანილი. ჩვენი დარაჯის ჯანმრთელობის მდგომარეობაც საკმაოდ მძიმე იყო, ამიტომ დაუყოვნებლივ მისი თბილისში გადაყვანა გახდა აუცილებელი," – აღნიშნავს სს „არწივის ხეობის" მთავარი მენეჯერი თემურ ჭუჭულაშვილი.

დედოფლისწყაროში ექვობენ, რომ თავდამსხმელი ახალგაზრდების ჯგუფია, რომელიც წინა დღეს დაწესებულებაშიმივიდა და ირწმუნებოდა, რომდაკარგულ ძაღლს ეძებდა.

„წინა დღეს რამდენიმე უცხო ბიჭი მისულა და ამ ტერიტორიაზე საეჭვოდ დადიოდნენ. უთქვამთ, ვნადირობდით და ძაღლი დაგვეკარგაო. როგორც ჩანს ძაღლს კი არ ეძებდნენ, ტერიტორიას საგულდაგულოდ ათვალიერებდნენ, რომ ღამით მოქმედება არ გაძნელებოდათ. ალბათ შეათვალიერეს მათთვის საინტერესო ადგილები და შემდეგ ეს დაგეგმეს," – ამბობენ თვითმხილველები.

ნაწამები მამაკაცითავდაპირველად დედოფლისწყაროსსაავადმყოფოში მოათავსეს, თუმცა ვითარების გართულების შემდეგ კი ტომოგრაფიული კვლევისთვის თბილისში, კლინიკა ოპტიმალ მედიში, გადაიყვანეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში გაზეთ „შირაქს" განუცხადეს, მომხდარ ფაქტზე გამოძიება სამართალდამცავებმა უკვე დაიწყეს. მოკვლევა სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე და 177-ე მუხლებით, რაც ქურდობასა და ძალადობას გულისხმობს.

ილია მარტყოფლიშვილი

# ადამიანთა სულების შემგროვებელი

***12 სექტემბერს, რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში, სვეტლანა ალექსიევიჩს 800-მდე ადამიანი უსმენდა. ნობელის პრემიის ლაურეატი, ბელორუსი მწერალი საქართველოში გამომცემლობების, „ინტელექტისა“ და „არტანუჯის“ მოწვევით ჩამოვიდა. სწორედ მათ მიერ არის ნათარგმნი ქართულად მისი წითელი უტოპიის ხუთი წიგნიდან ოთხი — „ომს არა აქვს ქალის სახე“, „ჩერნობილის ლოცვა“, „სექონდ ჰენდის დრო“ და „ცინკის ბიჭები“. ალექსიევიჩი თბილისს ჯერ კომუნისტების დროს სტუმრობდა, შემდეგ 90-იან წლებში, თუმცა მაშინ მისი არც ერთი წიგნი არ იყო ქართულად თარგმნილი. თბილისში კი, როგორც თავად იხსენებს, დიქტოფონისთვის ელემენტების ყიდვაც კი ჭირდა. სვეტლანა ალექსიევიჩი ორ საათზე მეტხანს პასუხობდა შეკითხვებს. მერე იყო ავტოგრაფებზე გრძელი რიგი და შთაბეჭდილებების გაზიარება.***

ზოგმა თქვა, დიდი ვერაფერი, მოსწავლეებივით გვიყურებდა და მარტივ ჭეშმარიტებებს გვიმარცვლიდაო. ზოგმა იხუმრა, ჰკითხეთ ერთი, ეკოს და ტურნიეს (და კიდევ სხვებს) ნობელს რომ აცლი, ეგ რა შეგრძნებააო, ზოგმა საყვედურნარევი კითხვა დაუსვა, თუ მამით ბელორუსი და დედით უკრაინელი ხართ, რუსულად რატომ წერთო, საქართველოზე მეტის ცოდნაც მოსთხოვეს და მის წიგნებში ქართველებიც მოისაკლისეს. ზოგსაც დასმული კითხვები მოეჩვენა ზედაპირულად... ბელორუსი მწერალი და ჟურნალისტი, სვეტლანა ალექსიევიჩი კი, რომელმაც 2015 წელს მიიღო ნობელის პრემია, საქართველოში სტუმრად ყოფნის სამი დღის განმავლობაში, მშვიდად პასუხობდა შეკითხვებს, ბევრს ლაპარაკობდა საბჭოთა კავშირსა და მისი ლიდერების სისასტიკეზე, პუტინის რეჟიმსა და ზოგადად, ტოტალიტარულ რეჟიმებზე, ომზე, ოკუპაციაზე და იმ ადამიანებზე მოგვითხრობდა, ვისი ამბებითაც მისი წითელი უტოპიის მთელი სერია დაიწერა — ხუთი წიგნი საბჭოთა კავშირზე. პასუხობდა ჯერ მწერალთა სახლში თავმოყრილი ჟურნალისტების, შემდეგ ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეკრებილი მკითხველების და ბოლოს, რუსთაველის თეატრში მისული საზოგადოების შეკითხვებს. ალექსიევიჩს, ცხადია, ჰკითხეს, როგორ დაიწერა უტოპიის ხუთი წიგნი და რატომ აირჩია თხრობისთვის სწორედ ეს სტილი:



**ალბათ, ეს ყველაფერი ბავშვობიდან მოდის, ბავშვობის ტრავმებიდან. დემობილიზაციის შემდეგ, მამაჩემი სამშობლოში დაბრუნდა და სოფლის სკოლის დირექტორად დაიწყო მუშაობა. ეს ომის შემდგომი პერიოდი იყო. ბელორუსიის სოფლებში, პრაქტიკულად, მხოლოდ ქალები ცხოვრობდნენ და მიუხედავად იმისა, რომ სახლში ბევრი წიგნი გვქონდა, ჩემთვის ქუჩაში ბევრად უფრო საინტერესო იყო, რადგან ეს ქალები, მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, ერთად იკრიბებოდნენ და ყვებოდნენ ამბებს თავიანთ დაღუპულ ქმრებზე. მე გაოგნებული ვიყავი მათი მონათხრობით სიყვარულისა და სიკვდილის შესახებ. და არც ერთ წიგნს ომის შესახებ ჩემზე არ მოუხდენია იმხელა გავლენა, რამხელაც ბავშვობის დროს მოსმენილმა ამ ამბებმა მოახდინა.**

ჰკითხეს, თუ რას ფიქრობს იმ მსჯელობების თაობაზე, რომელიც მისთვის ნობელის მინიჭების შემდეგ გაიმართა რუსეთში — ეკუთვნოდა თუ არა მას ეს ჯილდო, რა ჟანრში წერდა — დოკუმენტური პროზა იყო თუ მხატვრულ-დოკუმენტური?

დავიწყოთ იმით, რომ რუსეთში ნობელის პრემიის არც ერთი ლაურეატი არ უყვართ. ბუნინს „ძაღლს“ ეძახდნენ, ბროდსკის „შეშლილ ებრაელს“, ასე რომ, რუსეთიდან სიყვარულს არც ველოდი. მითუმეტეს, რომ, ნობელის მიღების შემდეგ, პირველივე პრესკონფერენციაზე მე მკითხეს, რა დამოკიდებულება მქონდა ყირიმის მოვლენებთან. ცხადია, მე ვთქვი, რომ ეს ანექსია იყო, ოკუპაცია. და რეაქციაც შესაბამისი იყო — თითქოს მე ნობელი საერთოდ არ მიმიღია. რაც შეეხება ჟანრს, ამაზე დავა კანონზომიერია, რადგან რუსულმა ლიტერატურამ, რომელიც, თავისთავად, საკმაოდ კონსერვატორულია, ეს ჟანრი თავის თავში არ შემოუშვა. არადა, ეს მსოფლიოში გავრცელებული ჟანრია, მას უწოდებენ ზეპირ ისტორიებს, ე.წ. ნონ-ფიქშენს. მე ცხოვრებას მეტად ვენდობი. ჩემთვის გამოგონილი ამბები ხანდახან აქტუალურობას კარგავდა ხოლმე. მითუმეტეს, ტოტალიტარულ ქვეყნებში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით და სადაც ლიტერატურა პროპაგანდა უფრო იყო. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ვენდობით, ის მოწმეა, ვინც რაღაც ამბავში თავად მონაწილეობდა. ამიტომ, მე ვიფიქრე, რომ ისტორიის პატარა ნაწილი, სიმართლის პატარა ნაწილი ჩვენშივე არსებობს და რომ შეიძლებოდა რომანის დაწერა სწორედ ამ ხმებისგან. ასეთი ტრადიცია ჩემამდეც არსებობდა რუსულ ლიტერატურაში, მაგალითად, სოფია ფედორჩენკოს მიერ პირველი მსოფლიო ომის დროს ჩაწერილი ამბები, როდესაც ის ჰოსპიტალში ჯარისკაცების ამბებს იწერდა. ალბათ, აქედან მოდის ამ ჟანრში წერაც, გამოგონილით უკმაყოფილება და ნამდვილი ცხოვრებით გაოგნებაც.

**ალბათ, უკვე მერამდენედ, ალექსიევიჩს საქართველოშიც ჰკითხეს, რატომ აირჩია ომზე წერა ქალების ხმით რომანში — „ომს არა აქვს ქალის სახე“?**

ალბათ, ამ დარბაზშიც ბევრი ისეთი ადამიანი ზის, ვისაც ახსოვს საბჭოთა ავტორიტარული სისტემა, რომელიც ყოველთვის მამაკაცებს ეკუთვნით, სადაც კაცები დომინირებენ და მათ სულ მილიტარისტული იდეალები ამოძრავებთ. მაგრამ მე უკვე იმ თაობას მივეკუთვნებოდი, ვისაც არ სჯეროდა, რომ დიდმა გამარჯვებამ გულაგის თემა მიჩქმალა. როგორც კი ამ თემაზე ლაპარაკს ვიწყებდით, მაშინვე გვპასუხობდნენ, რომ ჩვენ უდიდესი გამარჯვება მოვიპოვეთ მეორე მსოფლიო ომში. თუმცა, მე რასაც ვხედავდი იმის ფონზე, რომ ამ ომში ყოველი მეოთხე ბელორუსი დაიღუპა და რა საშინელ ამბებსაც ვისმენდი, არ შემეძლო ამ გამარჯვებისთვის დიდებული მეწოდებინა. **ჩემთვის ამ ომს საშინელი სახე ჰქონდა. მე ვხვდებოდი ამ ომში მონაწილე ქალებს, ყოფილ მფრინავებს, მეკავშირეებს, მსროლელებს და რაც ყველაზე საოცარი იყო, მათთან ლაპარაკში მე მესმოდა რა იყო ომი. განსხვავებით კაცებისგან, ქალები არ არიან „ომის კულტურის“ მძევლები, მათ ბავშვობიდანვე ამას ასწავლიდნენ, რომ — აი, გაიზრდები, ომში წახვალ და მტერს შეებრძოლები. თითქოს მზად არიან ამისთვის... თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ომი საკმაოდ დამატყვევებელი სანახაობაა. მე ეს ჩემი თვალით ვნახე ავღანეთში. ძალიან ძლიერი შთაბეჭდილება მოაქვს, ძლიერ კაცურ მეგობრობას აყალიბებს და ამ რაღაცებში შეიძლება საშინელებას დაემალო. ქალებს კი ამისთვის არასოდეს ამზადებდნენ. ქალებისთვის ომი არ არის გმირობა, მათთვის ეს მაინც მკვლელობის ტოლფასია. ერთ-ერთი ჩემი გმირი ქალი ომის დროს იყო ინსტრუქტორი, რომელსაც ევალებოდა ბრძოლის შემდეგ ველზე გავლა და გადარჩენილების მოძებნა. ის მიამბობდა: მიდიხარ ბრძოლის ველზე, ყველა წევს, ყველა ახალგაზრდა და ლამაზია. გერმანელებიც, რუსებიც და ყველა გეცოდება. როგორც ჩანს, სიძულვილი ქალებს მაინც ბოლომდე ვერ მოერია, შესაძლოა იმის გამო, რომ სწორედ ისინი შობენ სიცოცხლეს**. სიცოცხლის მხარეს არიან. და მე მივხვდი, რომ ქალს შეეძლო, აბსოლუტურად, სხვა ომის მოყოლა. და რომ ერთად ჩვენ დავწერდით წიგნს, რომლის წაკითხვის შემდეგ გენერალსაც კი გული აერეოდა.

მამით ბელორუსს, დედით უკრაინელს და რუსულ კულტურაზე გაზრდილ ალექსიევიჩს სთხოვეს ამ სამ ქვეყანაში დღეს არსებული ვითარების მისეული შეფასებაც. თავად ალექსიევიჩი არაერთ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ, განსაკუთრებით ნობელის პრემიის მიღების შემდეგ, მას სულ ეკითხებიან აზრს პოლიტიკაზე.

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენ, ყველა, სხვადასხვა გზაზე დავდექით. მხოლოდ ბალტიისპირეთს არ უძებნია გზები, ისე წავიდა ევროპისკენ. ბელორუსიაში დრო გაჩერებულია, ისევ საბჭოთა დროა, კაპიტალიზმის რაღაც ელემენტებით, რუსეთში რაც ხდება, ყველანი ვხედავთ... როცა წითელი უტოპიის ციკლს ვასრულებდი და „სექონდ ჰენდის“ დროს ვწერდი, ბევრს ვმოგზაურობდი რუსეთში. ეს არის ქვეყანა, სადაც არაფერი აფერხებს „არაფრისკენ სვლას“. საკმარისი იყო მოსკოვის და სანკტ პეტერბურგის გარეთ გასულიყავი და ხედავდი, რომ იქ არავინ ელოდა „პერესტროიკას“, ვერც კი მიხვდნენ რა იყო ეს. „გეკაჩეპეს“ (საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი საბჭოთა კავშირის დროს) მხარს უჭერდნენ და მალევე გახდა ცხადი, რომ რევოლუცია გორბაჩოვმა და მის გარშემო ადამიანების წრემ მოახდინა, ხოლო ხალხმა ერთ დღესაც რაღაც გაუგებარ ქვეყანაში გამოიღვიძა. და სანამ ჩვენ მოედნებზე დავრბოდით და „თავისუფლებას“ გავიძახოდით, ჩვენს ზურგს უკან ხალხი ამ ქვეყანას გლეჯდა და შვეიცარიის ბანკებში გაჰქონდა. ხალხი ბოლოს მიხვდა, რომ მოტყუებული დარჩა. გაჩნდა დიდი აგრესია. საოცარი იყო, რომ მათ სტალინის რეჟიმის დაბრუნება სურდათ**. ამბობდნენ, რომ სწორედ ამიტომ აირჩიეს პუტინი. ქვეყანაში, სადაც ამდენი ხალხი დაიღუპა „კაგებეს“ ხელით, დახმარებას და შველას ისევ მისგან ითხოვდნენ. 90-იან წლებში კიდევ რაღაც იმედი იყო, რომ რუსეთი დემოკრატიულ გზას დაადგებოდა, თუმცა, პუტინის მოსვლის შემდეგ, ყველამ ვნახეთ, რა გზას დაადგა ქვეყანა და რა არის დღეს, ჩვენ „ახალი შუასაუკუნეები“ შეგვიძლია ვუწოდოთ. ცოტა ხნის წინ, მოსკოვში ვიყავი, სადაც შევხვდი გენიალურ რეჟისორს, კირილ სერებრიანიკოვს, რომელსაც უკვე დევნიან და მან მკითხა, როგორ გგონია, დღეს რას წარმოადგენს გამომძიებელთა კაბინეტიო. მე, ალბათ, ფანტაზიაც არ მეყოფოდა ეს აღმეწერა. ეს არის ხატები კაბინეტში, სტალინის ერთმეტრიანი პორტრეტი, პუტინის პორტრეტი და ჟურნალ „რუსეთის ძიუდოს“ მთელი ნაკრები. მან თქვა, ეს რომ მე სპექტაკლში გამომეყენებინა, ალბათ, არავინ დამიჯერებდა და ხელბორკილებს დამადებდნენო. აი, ეს არის მეტაფორა, თუ რას წარმოადგენს დღეს რუსეთი. და უკრაინა, ჩემი მეორე სამშობლო, რომელსაც უნდა ევროპაში და რუსეთი არ უშვებს. იქ ყოველდღე ხალხი იღუპება, მაგრამ მე იქ ვნახე, როგორ უელავთ ახალგაზრდებს თვალები და როგორ სჯერათ, რომ გაიმარჯვებენ და დაამარცხებენ პუტინსაც და თავიანთ ოლიგარქებსაც.

**„ჩერნობილის ლოცვა“ — წიგნი ერთ-ერთ ყველაზე დიდ ტრაგედიაზე — რომელზეც, როგორც თავად ალექსიევიჩიც ამბობს, საბჭოთა კავშირში, ფაქტობრივად, არაფერი იცოდნენ. როგორ იწერებოდა ეს წიგნი და რა სირთულე ახლდა თან წერის პროცესს?**

ჩერნობილი პირველი იყო. როდესაც ცოტა ხნის წინ იაპონიაში, ფუკუსიმაში ვიყავი, იქ ამბობდნენ, ჩვენ ეს ამბები ჩერნობილის დროიდან ვიცოდით, ჩერნობილის მაგალითზეო. ჩვენ კი, საერთოდ, არაფერი ვიცოდით. საინტერესო დეტალია — როცა გორბაჩოვს ამცნეს, რომ ჩერნობილი მოხდა, მან შეკრიბა საუკეთესო ფიზიკოსები და სპეცთვითმფრინავით გაუშვა უკრაინაში. ამ მეცნიერებს, რომლებსაც თითქოს უნდა სცოდნოდათ, რას ნიშნავდა ატომური რეაქტორის აფეთქება, საპარსი მოწყობილობაც კი არ წაუღიათ თან. ფიქრობდნენ, ნახევარი დღეს გაატარებდნენ იქ, ვითარებას შეაფასებდნენ და უკან დაბრუნდებოდნენ. ჩვენ **რატომღაც გვეგონა, რომ „მშვიდობიანი ატომი“ ადამიანის მეგობარია, თუმცა აღმოჩნდა, რომ ომის დროსაც და მშვიდობის დროსაც, ატომი ორივე შემთხვევაში საშინელებაა. და ისე მოხდა, რომ უკრაინელები და ბელორუსები პირველები აღმოჩნდნენ მომავალში, მომავლის საფრთხეებში. ცხადია, ჩერნობილის მერე მთელი ქვეყანა სხვა რეალობაში აღმოჩნდა. ხალხი კი ამას ვერ ხვდებოდა. აივნებზე გადიოდნენ, გაჰყავდათ ბავშვები და აფეთქებიდან ერთი კვირის შემდეგ, ჟოლოსფრად მოციმციმე რეაქტორისკენ ახედებდნენ, შეხედეთ, რა ლამაზიაო. სიკვდილი ყველგან იყო, ჩვენ კი ამას ვერ ვხვდებოდით.. აი, ფუტკრები, მაგალითად, ერთი კვირის განმავლობაში თავიანთი სკებიდან არ გამოსულან.** ადამიანები კი თამაშობდნენ ფეხბურთს, ბავშვებისთვის ფუნთუშებს ყიდულობდნენ. დღეს ჩვენ უკვე კარგად ვიცით, რა არის ჩერნობილი. მაშინდელი მსოფლიო კი მაშინ იწყებდა გაცნობიერებას.

**სვეტლანა ალექსიევიჩი თითქმის ყველა კითხვას მაგალითებით პასუხობს ხოლმე. იმ ხალხის ხმებით, ვინც მისი წიგნების გმირები გახდნენ. ეს ხმები აალაპარაკა მან თავის სანობელე სიტყვაშიც, 2015 წელს. და ყველა ამბავი ერთმანეთზე მძიმეა. ჩვენ ვკითხეთ, ასობით ტრაგიკული ამბის მოსმენის შემდეგ, მან, როგორც ადამიანმა, როგორ მოინელა ეს ამბები და როგორ არ მოახდინა მასზე დამანგრეველი ზეგავლენა?**

იცით, მე პატარა და მომიკვდა კიბოსგან და მაშინ, ძალიან დიდ დროს ვატარებდი საავადმყოფოში და ვნახე, რა ურთულესი საქმე აქვთ ონკოლოგებს. განსაკუთრებით ბავშვთა ონკოლოგებს, რომლებმაც მშობელს უნდა უთხრან, რომ შვილი მოუკვდებათ. და წერა, იმ წიგნების დაწერა, რაც მე დავწერე, ცხადია, არ ყოფილა მარტივი, მაგრამ ვეცდები, მოგიყვეთ რა სამუშაოა ეს. როდესაც მე ვწერდი „ცინკის ბიჭებს“, ქაბულში წავედი. იქ მე ერთი პოდპოლკოვნიკი გამაცნეს, რომელმაც ერთხელაც დასავლეთის ჟურნალისტებისათვის გაკეთებულ გამოფენაზე წამიყვანა, რომ გვენახა, როგორი იარაღი ჰქონდათ მოჯაჰედებს. რომ ამერიკა აძლევდა მათ ამ იარაღს და როდესაც ადგილზე მივედით, გამაოგნა იმან, რომ თანამედროვე იარაღი იყო ძალიან ლამაზი. **გავჩერდი ერთი ნაღმის წინ და რა ლამაზია მეთქი, ვთქვი. მაოგნებდა სილამაზის და მკვლელობის ეს ერთობლიობა. ამ პოდპოლკოვნიკმა კი მითხრა, რომ თუ ამ ნაღმზე დადგებოდა, ადამიანისგან მხოლოდ ნახევარი ვედრო ხორცი დარჩებოდა. რამდენიმე დღეში მან დამირეკა და მითხრა, წამოდით, გაჩვენებთ რა დარჩა იმ ბიჭებისგან, ვინც ამ ნაღმზე აფეთქდნენო.** წავედი. და ცხადია, რაც მე იქ ვნახე, ეს არაადამიანური სანახაობა იყო, გონება დავკარგე. მაგრამ მე ჩავიწერე ყველა მოწმის ნაამბობი. და წარმოიდგინეთ, რომ ამ ჩაწერილი ამბებიდან უნდა ამომერჩია ის, რაც შეიძლება ყოფილიყო ლიტერატურა.

**სვეტლანა ალექსიევიჩი ყველა ინტერვიუში აკრიტიკებს პუტინისა და ლუკაშენკოს რეჟიმებს. როგორ გადაურჩა იმ ხელისუფლებებს, რომლებზეც წერდა და ლაპარაკობდა? და თუ ყოფილა მომენტი ან, რომელი წიგნის დაწერის შემდეგ, როცა ძალიან შეგეშინდათ?**

მე სულ მაქვს, ჩემი შემოქმედების გამო, პრობლემები — სახლშიც, ბელორუსიაში და რუსეთშიც. აი, ცოტა ხნის წინ, სწორედ მკითხველებთან მქონდა რუსეთში შეხვედრა, სადაც ცხადია, მე ვილაპარაკე უკრაინაზე და ვერ წარმოიდგენთ, რამდენი სიბინძურე წამოვიდა ჩემკენ. ბელორუსიაშიც ჩემს წიგნებს ბეჭდავენ მხოლოდ ოპოზიციური გამომცემლობები. მე არ შემიძლია უნივერსიტეტებში სიტყვით გამოსვლა... მე ვიცხოვრე ემიგრაციაში წლების განმავლობაში, მაგრამ მაინც დავბრუნდი სამშობლოში. იმიტომ, რომ სახლი მომენატრა. და იმიტომ, რომ მე მგონია, უნდა ვცხოვრობდე იმ ადამიანებს შორის, ვიზეც ვწერ. რაც შეეხება ხელისუფლებას, ის ყოველთვის იყო საშიში, საბჭოთა დროსაც და მერეც, თუმცა უფრო საშინელი ის არის, როცა საკუთარ ხალხთან ხარ კონფლიქტში, რადგან ხალხს დღეს მოსწონს ლუკაშენკო. ეს ძალიან მძიმე ამბავია მწერლისთვის. კატასტროფაა, როცა კონფლიქტი აქვს ხალხთან.

**ალექსიევიჩი ხშირად აღნიშნავს, რომ მას რეალური ამბები უფრო აინტერესებს. ამ რეალობაზე წერს კიდეც, აგერ, უკვე 40 წელია. მაგრამ ჩვენ მაინც ვკითხეთ, მას რომ გამოეგონა ამბავი და ისე დაეწერა თავისი წიგნები, რაზე დაწერდა, რა იქნებოდა მისი რომანები.**

ალბათ, სიუჟეტი მაინც სიკეთე და ბოროტება იქნებოდა. აი, ახლა მე ორი წიგნის იდეა მაქვს — ერთი სიყვარულზე, კაცები და ქალები ილაპარაკებენ თავიანთ სიყვარულზე და მეორე, სიკვდილზე და იმაზე, თუ ნიშნავს ცხოვრება 60-70 წლის ასაკში. ადრე ამდენ ხანს ხომ არ ცხოვრობდნენ, ახლა გაზრდილია სიცოცხლის ხანგრძლივობა და საჭიროა, ამ გახანგრძლივებული სიცოცხლის რაღაც ახალი ფილოსოფია. სიყვარულზე წიგნის შემთხვევაში, არ იქნება კონკრეტული სახელები, რადგან ეს მაინც ისეთი თემაა, სადაც ადამიანი უფრო მეტ რამეს იგონებს, ვფიქრობ, მეც უფრო თავისუფალი ვიქნები თხრობისას. თუ რეალური ადამიანის სახელს ვწერ, მე მის მაგივრად ვერ გამოვიგონებ ამბავს. როგორც ვერ გამოვიგონებდი იმას, თუ როგორ წაიღო ერთმა ჩემმა გმირმა ქალმა ფრონტზე კანფეტებით სავსე ჩემოდანი. ანუ ჩემთვის აზრი არა აქვს რაღაცების გამოგონებას. ცხოვრება იმდენად ფანტასტიკურია, რომ მისი მოყოლა უფრო საინტერესოა, იმიტომ რომ, კანფეტებით სავსე ჩემოდანზე ომზე დაწერილ არც ერთ წიგნში არ წამიკითხავს.

**„ცინკის ბიჭების“ გამოსვლის შემდეგ, სვეტლანა ალექსიევიჩს სასამართლოში დავა მოუწია. ფაქტობრივად, ავტორიტარულმა რეჟიმმა მწერალს თავისივე ნაწარმოები დაუპირისპირა. ეს სასამართლო ოქმები წიგნს თან ახლავს.**

არსებობს ერთი კლასიკური მაგალითი, რომელიც სასამართლოზე მოხდა. არსებობს ასეთი წინასასამართლო შეხვედრა მომჩივანის და ბრალდებულისა, შერიგების ერთგვარი მცდელობა. როდესაც ამ შეხვედრაზე მივედი, ერთ-ერთი დაღუპული ბიჭის დედა დავინახე, რამაც ძალიან გამაკვირვა. მე გავიცანი ის მაშინ, როდესაც მისი შვილი ჩამოასვენეს ცინკის კუბოთი, მისი სახლი სულ 12 კვადრატული მეტრი იქნებოდა, სადაც კუბო ძლივს ეტეოდა. ქალი ტიროდა, ორმეტრიანი მყავდი და აქ როგორ ჩაეტიე, ნუთუ შენ ხარ ნამდვილადო. და მან მითხრა, დამეწერა სიმართლე. **მომიყვა, როგორ მარტომ გაზარდა თავისი შვილი, რომ ასწავლა, ბიჭი დურგალი იყო, მაგრამ დაასრულა თუ არა სწავლა, როგორ წაიყვანეს ჯარში. დედამ ისიც მითხრა, რომ იმის მაგივრად, რომ იარაღის ხმარება ესწავლებინათ, ის გენერლების აგარაკებს არემონტებდაო. სწორედ ასეთი მოუმზადებელი წაიყვანეს ომში, სადაც მალევე მოკლეს. ეს მონათხრობი იყო ყველაზე ძლიერი ამბავი ამ წიგნში და მე მას ვკითხე, ნატაშა, შენ ხომ გინდოდა მე სიმართლე დამეწერა, ასეც მოვიქეცი მეთქი. და მან მიპასუხა, მე მინდა ჩემი შვილი გმირი ყოფილიყო, შენ კი დაწერე, რომ ის მკვლელიაო. ამან გამაოგნა და მივხვდი, რამდენად ღრმადაა გამჯდარი ჩვენში ეს მონობა. რომ ეს ამდენი გადატანილი უბედურება, შვილის სიკვდილიც კი ვერ ათავისუფლებს ადამიანს**. ესეც არის მთავარი საკითხი, კითხვა, რაც წიგნიდან წიგნამდე მე მაწუხებს.

სვეტლანა ალექსიევიჩს საქართველოში რამდენჯერმე, სხვადასხვა ფორმით ჰკითხეს, მამით ბელორუსი და დედით უკრაინელი მწერალი რატომ წერს რუსულად. ნობელიანტ მწერალს ამაზე ერთი მოკლე პასუხი აქვს — იმიტომ რომ, მთელი ამ წლების განმავლობაში, რაც ის წითელი უტოპიის ისტორიას აგროვებდა და წერდა, უტოპია რუსულ ენაზე ლაპარაკობდა.




## 1951 WLIS SEQTEMBERI

- AXALI SASWAVLO WELI DAIWYO, WITELWYAROS 23 SKOLASI AXMAURDA KEDLEBI. 300-MDE MASWAVLEBELI SEUDGA MOSWAVLETA ARZRDAS. TUMCA, GASUL WELS RAIONIS SKOLEBSI 804 MOSWAVLE DARCA IGIVE KLASSI. ES IMAS NISNAVS, ROM SKOLEBS MNISVNELOVANAKLI AQVT MUSAOBASI. SAWIROA, SKOLIS AMXANAGEBMA DREIDAN MTELI ZALEBI MOMARTON, ROM GARDATEXAS MIARWION DA SWAVLIS XARISXI GAAUMJOBESON.
- WITELWYAROS QARTULI SASUALO SKOLIS PARTORGANIZACIAM AXALI SASWAVLO WLISTVIS MZADEBA DAASRULA. SASWAVLO WLISTVIS SEQMNILIA 2 WRE - BELADEBIS BIOGRAFIEBIS SEMSWAVLELI WRE DA SAKAVSIRO K.P.B ISTORIIS SEMSWAVLELI MARALI TIPIS WRE. ORIVE WRESI PARTIULI KOMKAVSIRELI DA UPARTIO 32 AMXANAGI IMECADINEBS. PROPAGANDISTEBAD IMUSAVEBEN ENERGIULI AMXANAGEBI EL. LAPIASVILI DA M. GOGILASVILI.POLITWREEBIS MSMENELEBI UZRUNVELYOFILI ARIAN RUQEBITA DA SASWAVLO LITERATURIT.
- SOFEL JAFARIZESI, VLADIMER NIKOLOZIS ZE IAKOBISVILI SOFLIS KOLMEURNEOBIS MEURMED MUSAOBDA. ERT SARAMOS, ROCA SAMUSAO DAAMTAVRA XAREBI RAMIS MEXRES CAABARA, RAMDENIME SAATIS SEMDEG KI TAVISI NATESAVIS CXENIS TAWKIT ESTUMRA NAKVETS, SADAC SIMINDIS MOSAVALS IREBDNEN. ISARGEBLA SEMTXVEVIT DA MOIPARA SIMINDI 148 KG. WITELWYAROS RAISAXALXO SASAMARTLOM EKATERINE BEITRISVILIS TAVMJDOMAREOBIT GAARCIA IAKOBISVILIS SAQME. BRALDEBULMA TAVI DAMNASAVED CNO. SASAMARTLOM IAKOBISVILS SAKOLMEURNEO QONEBIS DATACEBISTVIS 7 WLIT TAVISUFLEBIS ARKVETA MIUSAJA. XOLO SASJELIS MOXDIS SEMDEG 2 WLIT SAARCEVNO XMIS UFLEBA CAMOERTMEVA.
- SOFEL GAMARJVEBASI SASOFLO KLUBTAN UKVE ORI TVEA AMOQMEDDA WRA-KERVIS WRE. AQ 12 WEVRI GULMODGINED MECADINEOBS. WRIS XELMZRVANELIA TINA SULASVILI. IS NAYOFIERAD MUSAOBS AXALGAZRDA MKERAVEBIS GAMOZRDISTVIS. AMXANAGEBIC DIDI GULISYURIT EUFLEBIAN WRA-KERVIS XELOVNEBAS.
- PIRVELI SEQTEMBRIDAN MIRZAANIS NAVTSAREWAOEBIS MUSATA DABASI GAIXSNA AXALI BIBLIOTEKA, ROMELIC MOTAVSDA TVALSACINO ADGILAS NATEL SENOBASI. MIS FONDSI 1 212 CALI SAZOGADOEBRIVI, POLITIKURI, MXATVRULI DA SABAVSVO XASIATIS WIGNIA. SAUKETESO SAMKITXVELO DARBAZI MOQALAQETA SAMSAXURIA.
- ARBOSIKIS FOSTIS GAMGE BATIASVILMA TELAVIDAN ORI DEPESA MIIRO, IMAVE SOFELSI MCXOVREB LIDA GUGENISVILISTVIS GADASACEMAD. DEPESEBI 17 RICXVIS NACVLAD 18-SI SARAMOS 4 SAATZE GADASCES. REDAQCIAM DAGVIANEBULI DEPESEBIS GAMO MIIRO SACIVARI, ROMELIC WITELWYAROS KAVSIRGABMULOBIS KANTORAS GADAEGZAVNA. MAT KI AMXANAG BATIASVILS GAFRTXILEBA MISCES.
- MIUXEDAVAD SASTIKI GVALVEBISA, SOF. GAMARJVEBIS JDANOVIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS XEXILIS BARSI MIMDINARE WELS SAUKETESO MOSAVALI MIIRES. AQ BRIGADIRAD MUSAOBS LENINIS ORDENOSANI V. MATIASVILI, ROMELIC 18 WELI MEMINDVREOBIS BRIGADIRAD MUSAOBDA. MAN WELS SESZLO DA 7 TONA XILI MOIYVANA, ROMELIC KOLMEURNEOBAS CAABARA, ROMLIS REALIZEBITAC 17 000 MANETI MIIRO.

## 1969 WLIS SEQTEMBERI

- SOFEL JAFARIZIS PIRVELI BINADARNI ZAPOROJIELI KAZAKEBI IYVNEN, ROMLEBIC MEFIS MTAVROBAM GADMOASAXLA. SOFELS 1921 WLIDAN `SECENOVKA~ ERQVA. SEMDEGSI AQ MACXAANELI, MIRZAANELI DA ARBOSIKELI GLEXOBA DASAXLEBULA, IMITOM ROM SIRAQIS MIWEBTAN AXLOS YOFILIYVNEN. NAR-EKLIANI ADGILEBI GAUKAFIAT DA RUS EBTAN ERTAD DASAXLEBULAN, CALIS QOXEBS QOXEBI MIMATEBIA DA SOFELI GAZRDLA. 1926 WELS SOFLIS ATIODE KOMLMA GADAWYVITA GAERTIANEBULIYO DA MIWA DA XARKAMECIT `AMXANAGOBA~ SEQMNES. XOLO 1930 WLISTVIS SOFELSI 300 KOMLI CXOVROBDA DA UMRAVLESOBA KOLMEURNEOBASIGAWEVRIANDA. XOLO, DREISTVIS SOFELI JAFARIZE DABAS MOGVAGONEBS, ZIRITADAD WITELWYAROSTAN SESISXLXORCEBULIA. STUMARI QALAQSA DA SOFELS SORIS ZRVARS VER IPOVIS, TU SOFLIS TAVSI LAMAZ ABRAS AR SEXEDAVS.



- JURNALISTTA KAVSIRIS KAXETIS SARAIONTASORISO GANYOFILEBIS BIUROM WITELWYAROS RAIONULI GAZETIS `AXALI SIRAQIS~ REDAQCIASI CAATARA MRAVALTIRAJIANI GAZETEBIS REDAQTORTA TATBIR-SEMINARI TEMAZE: `ROGOR GAVASUQOT LENINIS DABADEBIS 100 WLISTAVISATVIS MZADEBIS SAKITXEBI~. SITYVASI GAMOVIDNEN, ARBOSIKIS MRAVALTIRAJIANI GAZETIS REDAQTORI G. KAKALASVILI, GURJAANIS SOFEL VELISCIXIS MRAVALTIRAJIANI GAZETIS REDAQTORI A. MXARGRZELI, AXMETIS SOFEL ALVANIS MRAVALTIRAJIANI GAZETIS REDAQTORI F. RAINAULI, ZEMO MACXAANIS KOLMEURNEOBIS MRAVALTIRAJIANI GAZETIS REDAQTORI V. NATROSVILI, ZVELI ANAGIS MRAVALTIRAJIANI GAZETIS REDAQTORI R. BEGIASVILI, QVEMO BODBIS GAZETIS REDAQTORI G. MOSESVILI DA GAZET `AXALI SIRAQIS~ REDAQTORIS MOADGILE V. ASLAMAZISVILI.
- ZEMO QEDIS KULTURIS SAXLI YOVELWLIURAD ATAREBS KONCERTEBS SAINGILOSI, KERZOD KAXIS RAIONIS SOFLEBSI. CVENI SKOLIS MOSWAVLEEBI UMEGOBRDEBIAN INGILOEBS. IMARTEBA LENINURI SEJIBREBEBI. SAINGILOS QARTVELEBI TERITORIULAD YVELAZE AXLOS CVENTAN AXLOS ARIAN. ZEMO QEDELTA ERTERTI STUMROBA DAEMTXVA KAXIS QARTULI SASUALO SKOLIS ARSEBOBIS 100 WLIS SAIUBILEO TARIRS.

## 1985 WLIS SEQTEMBERI

- WITELWYAROS SAAVADMYOFOS TERITORIAZE MOUWESRIGEBELIA NAGVIS GATANA. AR XDEBA SAAVADMYOFOS UWYVETI MOMARAGEBA WYLIT. GAIRKVA, ROM SAAVADMYOFO MARAGDEBA WNORIS SAMMARTVELODAN. ROCA WNORIDAN WYALI ARAR MOGVEWODEBA, MASIN IZULEBULI VXDEBIT QALAQI GAITISOS DA WYALI MXOLOD SAAVADMYOFOS MIEWODOS STADIONIS WYALSAQACIDAN. STADIONIS SAQACIS DEBETI MWIRIA, SAAVADMYOFOS, PURKOMBINATIS DA YVEL-KARAQIS SATAO QARXNIS WYLIT MOMARAGEBA VER MOXERXDA.
- WITELWYAROS ADGILMREWVELOBIS MKERAVI MANIA COXELI 14 WELIA NAYOFIER SROMAS EWEVA. MUDAM MOWINAVETA RIGEBSIA DA DAKISREBUL MOVALEOBAS PIRNATLAD ASRULEBS. YOVELDRIUR DAVALEBAS 120-125%-IT ANARDEBS, AMASTAN MIS NAXELAVS WUNS VER DASDEBS KACI, RADGAN SAQMES MUDAM MARALI XARISXIT AKETEBS.
- TBILISIDAN WITELWYAROSI STUMRAD CAMOSULMA MOQALAQEM AVTOMANQANA `JIGULI~ RAIKOOPERATIVIS SENOBIS WIN GAACERA DA SAVAWRO CENTRSI SEVIDA. MANQANASI DARCENILI QALEBI VERAFERS GRZNOBDNEN, ROM MANQANAS CECXLI EKIDEBODA. SAFRTXE XALXMA SENISNA DA COCQOLI SEIQMNA. SEUPOVROBA GAMOICINA MARAZIIS GAMGE-GAMYIDVELMA _ JUMBER UZUNASVILMA, MARAZIIS EZODAN SASWRAFOD CAMOXSNA CECXLMAQRI, MOMARTA IGI DA OSTATURADAC MOIXMARA. XANZARI CAQRA, MANQANA GADARCA, UVNEBLAD GADARCNEN MANQANASI MSXDOMI QALEBIC. UZUNASVILMA ARA MARTO MANQANIS MEPATRONIS MADLOBA DAIMSAXURA, ARAMED GARSEMOMYOFTA SIMPATIA DA KETILGANWYOBAC.

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

# 21 სექტემბერი ღვთისმშობლის შობის დღეა

21 სექტემბერს მართლმადიდებელი სამყარო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის დღეს აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით ტაძრებში წირვა-ლოცვა შესრულდება. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში დაიბადა. მამა, მართალი იოაკიმე, დავით მეფის ტომიდან იყო, ხოლო დედა, მართალი ანა - პირველი მღვდელმთავრის, აარონის შთამომავალი. ღვთისმოშიშ ცოლ-ქმარს შვილი ხანდაზმულ ასაკში შეეძინათ. მათ აღთქმა დადეს, თუ ღმერთი შვილს მისცემდა, ახალშობილს ტაძარში მსახურებისთვის უფალს მიუძღვნიდნენ. უფალმა იოაკიმესა და ანას ლოცვა-ვედრება შეისმინა. მთავარანგელოზმა გაბრიელმა ამცნო ანას, რომ იგი მუცლად-იღებდა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი საკუთარ სახლში სამი წელი იზრდებოდა.

მართალი იოაკიმ და ანა ეკლესიის მიერ „მშობლებად ღმრთისა“ იწოდებიან, როგორც უფალ იესო ქრისტეს ხორციელნი წინაპარნი. მათ განსაკუთრებული მადლი აქვთ ღვთისაგან - უშვილოებს შვილი მიანიჭონ, შეწყვიტონ მიწისძვრები და დააცხრონ ქარიშხლები.

**მონატრება**

## შოთა რობიტაშვილი



ძვირფასო შოთა, უკვე მესამე წელია, რაც ამ ქვეყნად აღარ ხარ. 20 სექტემბრს დაბადებიდან 74 წელი უნდა შეგსრულებოდა.

დიდი ტკივილია ჩემთვის, ჩვენ ხომ 46 წელი ერთად გვაქვს გატარებული.

შოთა, უშენოდ ძნელია დაბადების დღის აღნიშვნა შენი შვილებისთვის-გოჩასა და ხვიჩასთვის, ასევე შენი შვილიშვილებისთვის: შოთიკოსთვის, ლევანისა და მარიამისთვის.

შენი უცნობი შვილთაშვილებს - ბარბარეს და პატარა ალექსანდრეს შენი ფოტოლა დარჩენიათ შენს მოსაგონებლად.

შოთა, იძინე მშვიდად შენ 5 ძმასთან, 2 ძმისშვილთან და დისშვილთან ერთად.

ილოცე მანდედან შენი დანატოვარი ხალხისთვის. ჩვენ კი არ მოგაკლებთ სანთელსა და საკმეველს. მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

**შენი მეუღლე** ნელი, **შვილები** გოჩა და ხვიჩა, შვილიშვილები.

**გახსენება**

## ზაზა ტუხაშვილი და ლევან დავითაშვილი



ის გზა შორია და უსასრულო. ამ გზას ცათა სასუფეველში მივყავართ, იქ მიდიან და უკან აღარ ბრუნდებიან. სამი წელია, ამ გზას გავცქერით შვილო ზაზა, შენი ოჯახი, მაგრამ ამაოდ. აქამდე ჩვენთვის ერთი იყავი, ახლა ორნი გახდით-ზაზა და ლევანი. ორი განუყრელი მეგობარი და თანამშრომელი, კარიერს შეწირული ბიჭები.

რა მკაცრი და ულმობელია თქვენი უაზრო სიცოცხლის დასასრული. ვერ მოასწარით ოცნებების შესრულება, დაოჯახება და ვინ იცის, რა სურვილები გაიყოლეთ თან. ორივე ერთნაირად თავმდაბალი, სიკეთით და სიცოცხლით სავსე იყავით და ასეთად დარჩით ყველას მოგონებებში. მე ყველას ვეკითხები - ცას და მიწას, ადამიანებს, რატომ ერგოთ ასეთი მწარე და ერთნაირი ბედი ამ საუკეთესო ბიჭებს?

შარშან , 22 სექტემბერს ზაზას გარდაცვალების 2 წლისთავი ლევანის თანამშრომლებში აღუნიშნავს. ამ ხნის მანძილზე, როცა ვხვდებოდით, სულ ვგრძნობდით მის თანადგომას და უსაზღვრო სევდას მის გამოხედვაში. სულ ვეხვეწებოდი, ჩემი ზაზა არ დაივიწყომეთქი. მწარედ მახსენდება ,ზაზას გარდაცვალების მეორე დღეს მოვითხოვე ლევანი მოეყვანათ, ის მეტყვის სიმართლეს, თუ რა მოუვიდა ჩემს შვილს -მეთქი. ძლივს შემოვიდა და მუხლებზე დაიჩოქა. მომიყვა ის, რაც სავარაუდოდ იცოდა. მე იმის თვალებში დანახული განუსაზღვრელი ტკივილი დღესაც მახსოვს.

და 27 სექტემბერს, კიდევ გათენდა ამ რაიონში მსგავსი ტრაგიკული დღე ლევანისთვის. ზაზას დაკრძალვის დღეს, 2 წლის შემდეგ, ამ შავბნელ და ავბედით დღეს ლევანის გარდაცვალება მეხივით გავარდა. ისევ გადაუარა რაიონს ზაზას და ლევანის სახელმა, ერთს იხსენებდნენ, მეორეს დასტიროდნენ.

ისევ გადაიკვეთა თქვენი გზები იმ უსასრულობაში. ეკლესიასთან ვიყავი, როდესაც გავიგე ეს შემზარავი ამბავი. შევედი ეკლესიაში, ავანთე სანთელი და დედაღვთისმშობელს შევევედრე, ჩემი ზაზა ყოფილიყო ბოლო მსხვერპლი და ლევანისთვის სიცოცხლე ეჩუქებინა, ვთხოვდი, ნუ გაამწარებდა ლევანის მშობლებს და მათთვის შვილი ეჩუქებინა, მაგრამ თურმე ყველაფერი ამაო იყო, ლევანი მიწას აღარ ეკუთვნოდა და ისიც ზეცაში ზაზასთან წასულიყო.

მე მჯერა, რომ თქვენ იქ ერთმანეთი იპოვეთ, ზაზა და ლევან!

ამ ორ საუკეთესო, ალალმართალ, წესიერ ახალგაზრდას ერთნაირი ბედი არგუნა ბედისწერამ. ორივე მწარედ დაიტირა მთელმა რაიონმა, ორივეს ზღვა ცრემლით, ტკივილით და უამრავი ყვავილით მიაცილებდნენ.

სამუდამო განსასვენებელშიც ახლობლებმა და მეგობრებმა მუჭით მიაყარეს მიწა, რომ მსუბუქი ყოფილიყო მათი ამქვეყნიდან გასვლა. მე მჯერა, ორივეს მრავალი მომგონებელი, სანთლის დამნთები და ჭიქის წამქცევი დარჩა ამ ქვეყნად. დალოცვა ყველას მაღალი ღმერთისგან და ორივეს გამწარებული მშობლებისგან. თქვენ, ჩემთვის ორივე განუყოფელი ხართ, ერთის ხსენება აუცილებლად მეორის მოგონებას იწვევს, ამიტომ დილა-საღამოს ლოცვებში ერთნაირად ვლოცულობ და ასე იქნება სიცოცხლის ბოლომდე.



22 სექტემბერს ზაზას 3 წელი, 27 სექტემბერს კი ლევანის ერთი წელი იქნება, რაც ზეციურ სასუფეველში დაიდეს ბინა. მიწაზე განუსაზღვრელი ტკივილი და მოგონებაა თქვენს სახელთან დაკავშირებული. არ არსებობს ძალა, რომელიც შვილმკვდარ მშობლებს ამ ტკივილს დაავიწყებს, იძულებული ვართ დარჩენილი მისჯილი სიცოცხლე თქვენთან შეხვედრის მოლოდინში გავატაროთ.

უფალს ებარებოდეთ, დედაღვთისმშობელი იყოს თქვენი სულების შემწე და მფარველი, მოგიტევოთ შეცოდებანი და ნათელში დაგიმკვიდროთ სასუფეველი. ამინ!

ეთერ და გივი ტუხაშვილები

# ყვავილები წმინდა სავანეებიდან

**სიზმრად გამოცხადებულმა ივერიის ღვთისმშობელმა მათ ხატის შექმნისკენ უბიძგა და ზურაბ შიოშვილი, მეგობარ გიორგი ჭოლოკავასთან ერთად, ივერიის ღვთისმშობლის ხატის, "დედოფალი სიხარულის მომნიჭებლის" მცველი გახდა. ხატმა ათონის მთა მოილოცა და მცველები მას ისრაელსა და პალესტინაში ხშირად დააბრძანებენ. იმავდროულად, ზურამ და გიორგიმ ასურეთთან ახლოს "დედოფლის" სახელზე საკუთარი ხელით ბაღი გააშენეს. რა მცენარეები ხარობს ამ ბაღში და როგორ ზრუნავენ მეგობრები გარემოზე, ამის შესახებ ზურაბ შიოშვილი გვესაუბრება.**

ზურაბ შიოშვილი: - აგარაკი თბილისთან ახლოს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტშია, სოფელ ასურეთთან ახლოს. იქ იყო წინაპრების სახლი, ხეხილიანი ეზოთი (1300 კვმ), სადაც მოუცლელობის გამო ველარ ჩადიოდნენ... მე და გიორგიმ გადავწყვიტეთ,¬ იქაურობას დავბრუნებოდით, გაგვეცოც¬ხლებინა.

იდეა მხოლოდ ის არ იყო, რომ ლამაზ გარემოში გვინდოდა ყოფნა. ჩვენ იმ ხატის მცველები ვართ, რომელმაც ათონის მთაზე, წმინდა მიწაზე იმოგზაურა. მისი პირველი ასლი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, შოთა რუსთაველის ფრესკის პირდაპირ არის დაბრძანებული, სადაც შექმნილია ქართველთა კუთხე. იქაურ მონასტრებთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს, რადგან სასწაულთმოქმედი ხატის წმინდა მიწაზე ჩაბრძანება ხშირად გვიწევს. ხატის მოსალოცად პალესტინიდან საქართველოში ბევრი ადამიანი ჩამოდის, უზარმაზარ ჯგუფებს ვიღებთ. ისეთი ბაღის გაშენება გვინდოდა, სადაც ამ ადამიანებს ვუმასპინძლებდით. ხატის პატივსაცემად, იქაურობას „დედოფლის ბაღი" ვუწოდეთ.

**- წმინდა ადგილებიდან, მონასტრებიდან იშვიათი მცენარეების კალმები ჩამოგაქვთ...**

- ეს იდეა სათავეს ათონის მთიდან იღებს. "დედოფალი" იქ შემოდგომით ჩავაბრძანეთ და ერთ-ერთი მონასტრის ეზოში ციკლამენი (ყოჩივარდა) აღმოვაჩინე. ჩვენთან ყოჩივარდა გაზაფხულზე, იაზე ადრე ყვავის და ხასხასა ჟოლოსფერია, იქ კი სულ ორიოდე კვირით იშლება და თანაც, შემოდგომით. მომეწონა და მისი საქართველოში ჩამოტანა მომინდა. ნებართვა მონასტერში ვითხოვეთ. ყოჩივარდა ბოლქვიანი მცენარეა და გზაში მისი დაღუპვა თითქმის გამორიცხული იყო. ის ყოჩივარდა, დიდი ხანია, ჩვენს ბაღში ხარობს...

**„დედოფალი" პალესტინაში რომ ჩავაბრძანეთ, მე და გიორგის იდეა გაგვიჩნდა, წმინდა მიწის სხვადასხვა მონასტრიდან სამახსოვროდ თითო მცენარე წამოგველო და ვისაც იმ მონასტრების მოლოცვის საშუალება არ აქვს, იქაური სურნელი ჩვენს ბაღში სიმბოლურად, ამ მცენარეებით შეეგრძნო.** კალმების ჩამოტანა ნებადართულია, გრუნტით მცენარის წამოღებასაც თავისი წესები აქვს. მთავარი იყო, კალმები ჩამოტანამდე არ გაგვფუჭებოდა. მცენარეები გადავარჩინეთ, მაგრამ აქ გაუჭირდათ, თვეობით ავადობდნენ. მათ გახარებას დიდი შრომა დასჭირდა. მახსოვს, ჩემზე პირველი შთაბეჭდილება მოახდინა მაცხოვრის აღდგომის ტაძართან ერთ-ერთმა სუკულენტმა, რომელიც მანამდე არ მენახა (უსაშველოდ დიდი იზრდება) და ძალიან მომეწონა. ერთხელაც ზეთისხილის მთაზე, მონასტერში ვიყავით, სადაც ბევრი სიწმინდეა, ასევე შემორჩენილია იმ კიბის ნაწილი, რომლითაც ქრისტე იერუსალიმში ბზობას შევიდა და წარმოიდგინეთ, ის სუკულენტი იქაც დამხვდა!.. მონაზონს გავანდე, რომ მცენარის საქართველოში წამოღება მინდოდა. ყვავილი უსიტყვოდ მომცა.

**გვაქვს მცენარე სცინდაპსუსი. მას ჩვენთან ბევრი ახარებს. მცირე გეთსამანიის ტაძრიდან წამოვიღეთ, სადაც ღვთისმშობლის სუდარაა დაბრძანებული.** იქ გასაოცარი ყვავილები აქვთ. ჰოი იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდანაა, პაპაიას ხე იერიქონიდან გახლავთ. საქართველოში ხანგრძლივად იავადა. მერე მისი ქოთანი სხვა ქოთანს დავადგი, იქნებ ასე გადარჩეს-მეთქი და მოულოდნელად გამოკეთდა, სწრაფად გაიზარდა. თავისი ქოთნიდან ფესვები მეორე ქოთანში გაუშვა და ერთად, იარუსად, უკვე ორი მცენარე ცხოვრობს. რომ არ გაფუჭდეს, ერთმანეთს აღარ ვაშორებთ. გვაქვს ჰიბისკუსიც. ჩვენთან ჩინურ ვარდს ეძახიან. ის კაიაფას სასახლიდან წამოვიღეთ.



პელარგონია ნაბლუსის ტაძრიდან არის. იქ მომლოცველები ვერ მიდიან, კონფლიქტური ზონაა, თუმცა ხატის მცველებს არ გვაბრკოლებენ. ჩვენც ამით ვსარგებლობთ და ასეთ ადგილებში ფილმებსაც ვიღებთ. ქალაქში შესვლა სახიფათოა. იქ მოხვდები, თუ ვინმე იქაური იკისრებს პასუხისმგებლობას.

**ნაბლუსის ტაძართან არის იაკობის ჭა. მაცხოვრისა და სამარიტელის საუბრის ადგილია. ინახება დოქიც, რომლითაც ქრისტემ წყალი დალია.** იქ მოღვაწე მამა იუსტინე წმინდა მიწის ერთ-ერთ ცოცხალ წმინდანად არის მიჩნეული...

კარგი ყვავილები ჰქონდა მონასტერს, მათ შორის - სისხლისფერი, მუქი, თავმოღერებული პელარგონია, რომელიც იმდენად თვალში საცემი იყო, რომ მის გარეშე ვერ დავბრუნდით. ქლოროფიტუმი საქართველოშიც არის, მაგრამ ვინაიდან ხარების ტაძრის ტერიტორიაზე აღმოვაჩინეთ, ისიც წამოვიღეთ. ჩვენთან შეფლერაც ხარობს, ადვილად იზრდება და მშვენივრად ეგუება კლიმატს, მაგრამ შეფლერას პატარა კალამი იერიქონის მთიდან გვაქვს. აქ მარხულობდა ქრისტე ორმოცი დღე.

გვაქვს აბუტილონის ტოტიც თეოდოსი დიდის მონასტრიდან, სადაც ბევრი ქართველი მოღვაწეობდა. საისტორიო წყაროები მოწმობს, რომ მონასტერი ქართული გახლდათ, იქ კი იმიტომ დაუარსებიათ, რომ მოგვები ცხოვრობდნენ. მოგვთა მღვიმე დღესაც არსებობს, არის ასევე დიდი მოღვაწეების საფლავები...

მოკლედ, ასე დავამშვენეთ ბაღი წმინდა მიწიდან ჩამოტანილი მცენარეებით.



## ულოცავენ!

### ილია მარტყოფლიშვილს!
### რუსუდან ნადირაშვილს!



*ჩვენო ძვირფასებო, გილოცავთ ქორწინებას!... გისურვებთ, მთელი ცხოვრება ასეთი გაბრწყინებული თვალებითა და სიყვარულით სავსე გულებით ერთად გაგვეტარებინოთ. აკვანთა სიმრავლეს და საუკეთესო წლებს გისურვებთ!*

**სიყვარულით,**
„შირაქელები"

### ანა მოლაშვილს!

გილოცავთ ცოდნის ტაძარში შესვლას. 2017 წლის 15 სექტემბერი შენს ცხოვრებაში ოქროს ასოებით იყოს დაწერილი.

გისურვებთ, იყო ჯანმრთელი, ზრდილობიანი, ნიჭიერი, კარგი ყოფაქცევის (ათასჯერ ცოდნა დაფასდა, ასიათასად ზრდილობა), შენი კარგი სწავლით გაგეხარებინოს, ვისაც უყვარხარ და ეამაყები.

უფალი და მამაზეციერი იყოს ყველგან და ყოველთვის შენი მფარველი.



„წიგნი შენი სინათლეა
განზე წუთით არ გადადო,
ყველა ლამპარი ჩაქრება
ცოდნის ლამპარი არასდროს".

**ბებო** მარინე, **პაპა** გურამი მოლაშვილები.

### მანანა ჭილიტაშვილს!

არბოშიკის საჯარო სკოლის პედკოლექტივი, სკოლის დირექტორს, ქალბატონ მანანა ჭილიტაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, შვილთა სიმრავლეს, ხანგრძლივ და წარმატებულ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

არბოშიკის საჯარო სკოლის პედკოლექტივი

## მადლიერება

ჩემი შვილიშვილი მარი ღელაძე გერმანიის ქალაქ მაინცის იოჰანეს გუტენბერგის სახელობის უნივერსიტეტის წიგნთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტია. მან საქართველოში, კერძოდ კი დედოფლისწყაროს გაზეთ „შირაქში" გაიარა სასწავლო სტუდენტური პრაქტიკა. რედაქციამ გაუწია პროფესიონალური, კვალიფიციური სწავლება და გულისხმიერება გამოიჩინა ჩემი შვილიშვილის მიმართ.

მინდა, მადლობა გადავუხადო შპს „შირაქის" დირექტორს ინგა შიოლაშვილს და რედაქციის მთელ კოლექტივს.

**პატივისცემით,**
ლია ხუციშვილი


## იყიდება!

იყიდება ერთ ოთახიანი სუფთა ბინა ქ. დედოფლისწყაროში, რკინის კარით, ცივი და ცხელი წყლით, კომუნიკაციებით უზრუნველყოფილი. ბინას აქვს ავტოფარეხი. გაყიდვის შემთხვევაში ბინაში რჩება გარკვეული ავეჯი. ფასი შეთანხმებით.

მისამართი: **რუსთაველის ქუჩა №4, კორპუსი 31, ბინა 17.** ბენზინგასამართ სადგურ „სოკარის" მოპირდაპირედ.

☎ 591 80-35-13

## ყურადღება: სიახლე!

შ.პ.ს. „რეგიონალური ჯანდაცვის დედოფლისწყაროს ცენტრის" თვალის კაბინეტში (ექიმი მაია ტიკლიკიშვილი) ფუნქციონირება დაიწყო თვალის კომპიუტერულმა ვარჯიშებმა, რომელიც ინიშნება შემდეგი დაავადებების დროს მიოპია, ჰიპერმეტროპა, ასტიგმატიზმი, აკომოდაციის სპაზმი, სიელმე, ზარმაცი თვალი, პრესბიოპია ბინოკულარული მხედველობის განვითარება.


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 18.09 | | სამშაბათი 19.09 | | ოთხშაბათი 20.09 | | ხუთშაბათი 21.09 | | პარასკევი 22.09 | | შაბათი 23.09 | | კვირა 24.09 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 24 ° | 22 ° | 24° | 23 ° | 24 ° | 23 ° | 25 ° | 23 ° | 24 ° | 23 ° | 24 ° | 22 ° | 24 ° | 22 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.